# დროება

№ 74 შაბათი, 3 აპრილი 1910 წ. № 74

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე მეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ ხაღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ღთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და თანადგომი განცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციას სულ არ ინახება ინახება ერთის ოვით მხოლოთ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან შუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. № 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЕБА“.

ცალკე ნომერი ღირს ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



კვირას, 4 აპრილს,

გრიგოლ იოსების ძის ვოლსკის

გარდაცვალების ნახევარ წლის თავზე, ბათუმში ეკკლესიაში გადახდილი იქნება წირვა, ხოლო შემდეგ, 12 საათზე, საფლავზე პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და პატივისმცემელთ ბარბარე იოსების ასული ვოლსკისა და ივანე ივანეს ძე ზურაბიშვილი.

მარიამ ალექსანდრეს ასული და ალექსანდრე ფარნაოზის ძე ყიფიანები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობებთ, რომ თელავში უდროოდ გარდაცვალებულის პირველის—საყვარელ ძმის და მეორის—ცოლის ძმის

სვიმონ (სიკო) ალექსანდრეს ძის მეტრეველის

სულის მოსახსენებლად კვირას 4 აპრილს, მეორმოცე დღეს, გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. (1—221—1)

## ქართული თეატრი

შაბათს, 3 აპრილს, წარმოდგენილი იქნება:

## ბებრის საქმროელი

ვოდ. 1 მოქ. აწყურელისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარელი, თ. გოგოლაშვილი; ბ-ნი ვ. აბაშიძე და მგალობლიშვილი.

II

## საკონცერტო განყოფილება

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ნ. ა. პრესმანისა, ბ-ნნი ევლახიშვილი, ივანე სარაჯიშვილი და პალცევი.

სხვათა შორის შეასრულებენ: 1) ჭოლოტოვისა და სარაჯიშვილი ორკესტრით დუეტს ოპერა „რიგოლეტტოდან“; 2) სარაჯიშვილი ორკესტრით არიას ოპერა „კარმენიდან“; 3) ბ. ბროჯი ორკესტრით—არიას სურათის წინ) ოპერა „ბალ-მასკარადიდან“; 4) სარაჯიშვილი ორკესტრით—არიას ოპერა „მარგალიტის მაძიებლებიდან“; 5) ბ. ბროჯი—არიას ოპერა „დონ-ჟუანიდან“.

ამავე საღამოს ბ-ნი სარაჯიშვილი პირველად შეასრულებს ორკესტრით არაყიშვილის ახალ ოპერიდან, „შოთა-რუსთაველიდან“ მგოსნის არიას.

ყველა ზემოდ ნახსენები ნომრები სარაჯიშვილის მიერ ქართულად იქნება შესრულებული.

ბილეთები გაიყიდება თეატრის კასაში

წარმოდგენისა და კონცერტის მოთავე ი. კარგარეთელი.

დასაწყის სწორედ 8 საათზედ. (8—6.—8)



## ქართული თეატრი

კვირას, 4 აპრილს,

გამოსამშვიდობებელი წარმოდგენა

სასახლის არტისტის

## რობერტ ლენცისა

## ელეონორა ლენცის

მონაწილეობით

სულ ახალი პროგრამმა 3 განყოფილებად: პირველად: მფრინავი მაგიდა და მოცეკვავე საზოგადოება, მეორედ: ციგნების რომანსებს შეასრულებს ქალი რობერტ ლენცისა m-lle ზინა ლენცი.

დასაწყისი საღამ. 8½ საათზე, დაწვრილებით აფიშებში.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. (2—ხალ.—1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.-დ ხას. 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ. ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., ...

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

მუსხელიშვილი ვ ს. თვალის, ორშ., ოთხშ. და პარასკ. 2 2-ნახ. ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე

პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვირ., ყო. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

რცხილაძე. ნ. კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

ხობოლევსკი გ. ვ. ქირურ., ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—6.—147)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა,

ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ½ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—310)

## სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შ-ბი ქუთაისში

ამით აცხადებს, რომ მათ მიიღეს განსაკუთრებითი უფლება გაყიდვის რამდენიმე წლით საუკეთესო ხარისხის ცნობილი ფირმის ხ. ს. ხრისტოდულიდის აბრეშუმის თესლისა, მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მათ საკუთარ სავაჭროში ქუთაისში. რადგანაც თესლი შემზადებულია საგანგებოთ ქუთაისის გუბერნიის ჰავაზე, ამიტომ მყიდველთ უნდა მიაქციონ განსაკუთრებითი ყურადღება კოლოფზე ქართულ ნაწერს და ბეჭედს სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შვილებისას. (45—151—42)

## ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—403)

## ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—კვ.—10)

## ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულიოთ წამლობა ჰელექიანებისა, ელექტრო-თერაპია, ელექტრონის ფიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (50—კვ.—39)

## ექიმი კბილისა ქუთაისში ა. ა. ბუტულოვისა

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. და საღამოთი 4—7 ს. მოსწავლენი იხდიან ნახევარს. გიმნაზიის ქ., ა. თუმანოვის სახლი, ბულვარის პირდაპირ. 25—კვ.—13

## კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—6.—38)

## ექიმი შ. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბერლოვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—63)

## ექიმი ი. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—97

## ექიმი ქუთაისში ფ. ი. გასნევსკი

იღებს ავადმყოფებს შინაგან სნეულებათა და ბეჭიაობისას დილით 11—1 საათამდე, საღ., 5—7 საათამდე. კაზაკოვის ქ. N 13. ღარიბებს უფასოდ. (25—კვ.—21)

## ექიმი ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

## ექიმი დ. ახვლედიანი

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

## ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

## ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

## ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. გორჩნის ქ., № 9. (უ)

## ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—4 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

## ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოხე ქიქოძის სახლი. (0—უ.—153)

## შემთხვევით იყიდება

ძრიელ იაფად ორ სართულიანი სახლი. შესდგება 13 ოთახისა და 6 სამზარეულოსაგან. მიწა ზომით 60 ოთხკუთხი საჟენი, ავლაბარში, თელავის ქუჩა, № 17. არამიანცის საავადმყოფოს ახლოა. შეიძლება იჯარითაც გაცემა. პირობების გაგება შეიძლება იქვე.

იბეჭდება და მალე გამოვა BATON-ის წიგნი

## „ერი და კაცობრიობა“.

დაბეჭდილია 300 გვერდზე მეტი. ვთხოვთ იმ აგენტებს, ვისაც გაეგზავნა საკვიტანციო წიგნაკები და ანგარიში ჯერ არ გაუსწორებია, გამოგზავნონ ფულიც და წიგნაკებიც.

ფული და წერილები შეიძლება გამოიგზავნოს „დროების“ კანტორაში.

გამომცემელი მ. ხუციშვილი. (5—2)

სახალხო უნივერსიტეტი

კვირას, 4 აპრილს,

## ნ. ე. ერმოლაევი,

წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე:

## „პოლიტიკური ეკონომია“

დასაწყისი 11 საათზე. ფასი 5 და 10 კაპ. (2—1)

## ივ. გრ. ხალათიანი

იღებს ყოველგვარ განცხადებას ადგილობრივ და სხვა ქალაქების გაზეთებისათვის.

ვისაც სურს მასთან საქმე დაიჭიროს, უნდა მიმართოს გაზეთ „დროება“-ს კანტორაში: დიდი ვანქის ქ., № 12. (0—5)

## „გლეხი-კაცის ისტორია“

უკვე დაიბეჭდა და ხელის მომწერლებს დაურიგდება პირველ მაისიდან. ვისაც კვიტანცია დაკარგული აქვს, უნდა აცნობოს აგენტს კვიტანციის ნომერი 25 აპრილამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში არც აგენტები და არც გამომცემლობა პასუხს არ აგებს მათ წინაშე. (2—2)


## ნავთსაყუდელის ძებნაში

1.

სიცოცხლის აზრის, მნიშვნელობის და საიდუმლოების გაგება ყოველთვის სწყუროდა ადამიანს. ჯერ კიდევ ინდოელები (მრავალ საუკუნეთა ქრისტეს წინ) აკვირდებოდნენ სიცოცხლის პრობლემას და, სიცოცხლის საიდუმლოებით შეპყრობილნი, ამბობდნენ: „არ იცი, საიდან მოდის, არ იცი, სად მიდის, არ იცი ამ გზის თავი და ბოლო“. მართლაც, დღესაც გამოუცნობელი დარჩა ეს დიადი პრობლემა—ის თუ როგორ წარმოიშვა, საიდან წარმოსდგა სიცოცხლე და ის თუ რა არის სიკვდილი. დასაწყისი და ბოლო სიცოცხლისა დღესაც ბურუსით არის მოცული. და ადამიანის სიცოცხლე დღესაც სდგას ორ ბნელ უფსკრულის წინაშე, ფესვებ მოწყვეტილი, ხვედრის მონა-მორჩილი, უძლური გონებით სძლიოს თავისი უვიცობა და ვიწროობა და უძლური სხეულით სძლიოს თავის ფიზიკურ არსებობის წარმავალობა. და ამ პირობებში მყოფი ადამიანის გული დანაღვლდა. ეს ნაღველი და მწუხარება გამოიყურება ძველსა და ახალს აღთქმაში, ბრამანთა და ბუდას ფილოსოფიაში, კონფუციის და ლაოძის მოძღვრებაში. ეს სევდა იყო მენე ძალი თანამედროვე ფილოსოფიისა და მსოფლიო პოეზიისა. ამ რელიგიებსა, მოძღვრებებსა, ფილოსოფიურ სისტემებსა და პოეტიურ შემოქმედებაში ის აზრი ისახება, რომ სიცოცხლე თავის თავად აღებული, სოციალურ ორგანიზაციის მიუხედავად, ტანჯვა და მწუხარებაა. „მე ვხედავ, ამბობს ბუდა, მე ვგრძნობ, რომ ტანჯვა დედა-მიწაზე განუზომელია, რომ ყოველი სიამე ამაოა; მე ვხედავ დაცინვას და ტანჯვას, რადგან სიამენი სევდით თავდებიან, სიყმაწვილე სიბერით, სიყვარული განშორებით, სიცოცხლე საზიზღარ სიკვდილით“. ამ ხასიათისაა პესიმიზმი ფილოსოფიური.

მაგრამ ფილოსოფიურ პესიმიზმის გვერდით იზრდება და ფეხს იდგამს პესიმიზმი სოციალური. სოციალური პესიმიზმიც ძველის ძველია. როდესაც გაჩნდა ქვეყნად მონობა, ადამიანის მიერ ადამიანის დაჩაგვრა, როდესაც ძლიერნი, განსაკუთრებულ ორგანიზაციის დახმარებით, შეუდგნენ ხალხის ექსპლოატაციას, სხვა სუსტ ერთა თავისუფლების დათრგუნვას, იმ დროიდანვე ისახება ნიადაგი სოციალურ პესიმიზმის აღორძინებისავის, თანამედროვე ხანაში ამ პესიმიზმს განსაკუთრებული მკვეთრი და ცხოველი ხასიათი აქვს, რადგან დღევანდელ პირობებში საშინელის ძლიერებით გამოაშკარავდა კლასთა შორის არსებული ანტაგონიზმი და ბრძოლა. დღესვე მეტის სიმკაცრით და ულმობელობით აღმოჩნდა უსამართლობა და ველურობა ეროვნულ მჩაგვრელობისა. მაგრამ სოციალურ პესიმიზმს ისეთი ღრმა ფესვები და ისეთი ტრაგიკული ხასიათი არა აქვს, როგორიც აქვს ფილოსოფიურ პესიმიზმს. არა აქვს იმიტომ, რომ აქ, სოციალურ სფერაში, ადამიანი ხედავს გასავალს. აქ ხანგრძლივის და დაუცხრომელის პროტესტის, ბრძოლის და მეცადინეობის წყალობით გარემოება თანდათან იცვლება, სოციალური წყობილება უმჯობესდება. დიდი ძალა და ენერგია იხარჯება უთანასწორების და უსამართლობის გაუქმებისათვის, კლასიურია იგი უთანასწორობა თუ ეროვნული. აქ ამ ნიადაგზე წარმოიშვა დამონებულ კლასთა მოძრაობა სოციალიზმის სახით და დაჩაგრულ ერთა გამოფხიზლება და გამოცოცხლება თანამედროვე ეროვნულ მოძრაობის სახით. და დღეს დამონებულნი, მაგრამ იმედით აღსავსენი, გაბედულად შეჰყურებენ ხვალინდელ დღეს და თავისუფლების მომლოდინნი თანდათან ძირს უთხრიან და აქარწყლებენ სოციალურ პესიმიზმის მოძღვრებას და სულის კვეთებას. სოციალურ პესიმზმს არა აქვს ტრაგიკული იერი, რადგან სოციალურ მოუწყობლობას არა აქვს აბსოლუტურ აუცილებლობის ხასიათი, რადგან მწუხარება, უსამართლობით გამოწვეული, წარმავალია და ტანჯვა ძალმომრეობით გამოწვეული, ხანმოკლეა. უსამართლობა და ძალმომრეობა უძლეველი მტერნი არ არიან.

სულ სხვა ხასიათისაა პესიმიზმი ფილოსოფიური. აქ ყოველივე ტრაგიკულია, აბსოლუტური და სამუდამო. იყავით მატერიალისტი, იყავით ემპირისტი, მაგრამ უნდა აღიაროთ, რომ სიკვდილი თქვენთვის გაუგებარი მოვლენაა, უნდა გამოტყდეთ, რომ სიკვდილი თქვენთვის მეტაფიზიკური საგანია, რადგან მას ვერავითარ საზომით ვერ მიუდგებით და ვერავითარის საშუალებით ვერ გამოიცნობთ.

მატერიალურ სისტემების მიმდევართ ჰგონიათ, რომ ფილოსოფიურ პესიმიზმს მათთვის მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, რომ ამ სენით არიან შეპყრობილნი, ისტორიის განსაზღვრულ პერიოდებში, გაბატონებული კლასები და მათი იდეოლოგები, რომ იგი პესიმიზმი გამოწვეულია შიშით გამოურკვეველ მომავალის, ბატონობის და სოციალურ უპირატესობის დაკარგვის წინაშე. ადვილად შესაძლებელია მართლაც, რომ გაბატონებული კლასი, რომელსაც ემუქრებიან, ებრძვიან და სიცოცხლის მოსპობას უქადიან, ცუდ გუნებაზე დადგეს და უფრო ადვილად ათხოვოს თავისი გულის ყური ფილოსოფიურ პესიმიზმის ჰანგების მოსმენას, მაგრამ ამ ორ მოვლენის შორის (ტრაგიკულ ფილოსოფიის და კლასიურ შიშის შუა) არავითარი ლოღიკური კავშირი არ არსებობს. ადამიანი, სოციალურ ოპტიმიზმით გაღლენთილი, მოიმედე სოციალურ სამართლიანობის დამყარებისა, შეიძლება იყოს შეპყრობილი ტრაგიკულის გრძნობით და აზრით. და მსოფლიოს საიდუმლოება სოციალისტისთვის და რეფორმატორისათვის იგივე საიდუმლოებაა, როგორიც არის იგი ყოველ მოაზრე ადამიანისათვის. ურიგო არ იქნება, რომ ეს გარემოება მიიღონ მხედველობაში იმ კრიტიკოსებმა, რომელნიც ჩვენს ლიტერატურაში „პარტიულ პოეზიის“ განვითარების მოტრფიალეთ გამოდიან.

მაშ ტრაგიზმი ადამიანის სიცოცხლისა უტყუარი ფაქტია. უტყუარი ფაქტია ის, რომ სიცოცხლის წყურვილს სიცოცხლე ვერ აკმაყოფილებს, რომ სინამდვილე ღალატობს ადამიანს, სტოვებს მას მარტოს, უმწეოს, ეულს. უტყუარი ფაქტია ისიც, რომ ადამიანი ამ თავის ხვედრს ვერ შეჰრიგებია. და ძველის დროიდანვე ნავთსაყუდელის ძებნაშია, სცდილობს დააღწიოს თავი თავის მარტოობას, მოწყვეტილობას, განკერძოებას, სცდილობს სიკვდილის დათრგუნვას და სიცოცხლის განმტკიცებას, გაგრძელებას, გამარადისობას. და აი მზად არის ნიადაგი ყოველგვარ რელიგიოზურ სისტემების წარმოშობისათვის.

რაკი სინამდვილეში ვერ ჰპოვა ადამიანმა ნუგეში, რაკი ხორცშესხმულ სამეფოში ვერ ნახა ადგილი მოსასვენებლად, მან გადალახა საზღვრები ამა ქვეყნისა და შეჰქმნა ახალი ქვეყანა, ახალი სამყარო, ახალი სიცოცხლე, შეჰქმნა ატმანი ბრამანებისა, ნირვანა ბუდისტებისა, სიჩუმე ლაოძისა, ღმერთი ქრისტიანებისა, აბსოლუტი და მსოფლიო სული მეტაფიზიკისა. ნამდვილ სინამდვილედ ადამიანმა ნირვანა, მარადიული მყუდროება, ღმერთი, აბსოლუტი და მსოფლიო სული აღიარა. და რაკი ყოველივე ეს ნამდვილ სინამდვილედ გახდა ადამიანისათვის, ემპირიულ სიცოცხლეს მნიშვნელობა დაეკარგა და სიკვდილსაც აღარ ჰქონდა თავზარდამცემი ხასიათი. ეული სული ეზიარა მსოფლიო სულს და ამ ზიარებაში მყუდროება და ბედნიერება ჰპოვა. სიკვდილის პრობლემა გადასწყდა, ტრაგიზმი ძლეულ იქმნა და სიცოცხლეს მკვიდრი, უკვდავი საფუძველი მიეცა.

მაგრამ... ადამიანის უბედურება ის არის, რომ იქ, სადაც იგი მძიმესა სვამს, სიტყვა „მაგრამ“ ებადება თავში. და სწორედ „ამ მაგრამმა“ დაჰლუპა თითქოს განთავისუფლებული და დამშვიდებული ადამიანი. და ძველი პრობლემა გამოცოცხლდა ექვის შეპარების უმალვე.

და დღეს საქმე ამგვარად არის. ფილოსოფოსნი, რომელნიც მეტაფიზიკასაც აღიარებენ, მისტიურ რეალობასაც არ უარ-ჰყოფენ, გონების, ეჭვის და მეცნიერების წინაშე თავს იხრიან და ამბობენ, რომ რელიგიოზური რწმენა სუბიექტიური ხასიათისაა და რომ მას ობიქტიური, ყველასათვის სავალდებულო ცოდნის ხასიათი არ აქვს. „ვისაც მისტიკური განცდა არ უგვრძნია,—ამბობს თანამედროვე პრაგმატიზმის ერთი ბელადთაგანი, ამერიკელი ფილოსოფოსი ვილიამ ჯემსი,—იმისთვის სხვის მისტიკურ განცდას ავტორიტეტი არ აქვს. იგი უკრიტიკოდ ვერ აღიარებს მისტიკურ მხილებას“. (Многообразіе религіознаго опыта. стр. 412.) აგრეთვე იმას: „მისტიკურ განცდას არ უნდა ჰქონდეს ჩვენთვის ღირებულება მხოლოდ იმიტომ, იგი მისტიკურია“. (418) საჭიროა რაციონალური საბუთი. და ამ საბუთის შესახებ კი იგივე ჯემსი აღიარებს: „ყოველი სურვილი რელიგიოზურ განცდის ჭეშმარიტების დამტკიცება ინტელექტის საშუალებით—სრულიად უიმედოა“. (445).

გარემო ისევ ბნელდება. ადამიანი ისევ უიმედოდ გამოიყურება. ადამიანი მარტო გრძნობა არ არის, იგი გონიერებაც არის. გრძნობის საბუთი ძლიერია, მაგრამ ძლიერი სუბიექტიურად. ობიექტიურ ჭეშმარიტების დასასაბუთებლად საჭიროა ინტელექტი. ინტელექტმა კი უძლურება გამოიჩინა სიცოცხლის საიდუმლოების გამოცნობის წინაშე და ადამიანის გულში ისევ ნაღველი და მწუხარება შეიპარა. მართალია, „მისტიკური რეალისტები“ გვპირდებიან საქმის გამოკეთებას და ობიექტიურ ჭეშმარიტების დასაბუთებას გვიქადიან ინტუიციასა და ირაციონალურ სფეროზე დამყარებულ „შემეცნებით“. მართალია, თვით პრაგმატისტებიც გულს არ იტეხენ და გვეუბნებიან,—იყოს ჭეშმარიტების საფუძველი აზრის ღირებულება, მისი მნიშვნელობა ადამიანის სიცოცხლისთვის და არა მისი რაციონალური საბუთიანობა. თუ აბსოლუტს ჩვენი მშვიდობიანობისთვის აქვს რაიმე ღირებულება, მცნება აბსოლიუტი ჭეშმარიტებად უნდა იყოს აღიარებული. მაგრამ ყველა ამაზე დიდ იმედებს ვერ დავამყარებთ. ჩვენ მართალია, არავითარი საბუთი არა გვაქვს უარვყოთ ირაციონალური სფერო ადამიანის სულიერ ბუნებისა. შეუმცნობელი მე და მისი ზედგავლენა შემეცნობილზე ემპირიული ფაქტია. ხოლო ამ ფაქტს ადამიანი განიცდის სუბიექტიურად. მივეკარებით თუ არა მას (სუბლიმინალურ „მეს“, როგორც ეძახიან ფსიხოლოგები) ინტელექტის საზომით, იმ წამსვე მას ირაციონალური ხასიათი ეკარგება და რაციონალურ სფეროში გადმოტანილი კი იგი ობიექტიურ ჭეშმარიტების ხასიათს ვერ ითვისებს. რაც შეეხება პრაგმატიზმს, ღირებულების პრინციპზე ჭეშმარიტების დამყარება უიმედო საქმეა. ღირებულება რაციონალური საბუთი არ არის. შესაძლებელია ჩემთვის რაიმე ცრუმორწმუნოებას ღირებულება ჰქონდეს, ხოლო გონიერება კი ამ ცრუმორწმუნოებას არ იწყნარებდეს. ღირებულების პრინციპი იგივე გრძნობის პრინციპია და ამ საფუძველზე შემეცნების თეორიის დამკვიდრება შეუწყნარებელია. ამიტომაც არის, რომ პრაგმატიზმს ზოგიერთი კრიტიკოსი ოპპორტიუნიზმის ფილოსოფიად აღიარებს. (იხ. იმავ ჯემსის „Прагматизмъ“ და ამ წიგნში ჩართული იუშკევიჩის წერილი პრაგმატიზმის შესახებ).

ასეა თუ ისე, ტრაგიზმი ადამიანის სიცოცხლისა კიდევ მეტის სიმკაცრით წამოიჭრა გონების წინაშე. და თანამედროვე ადამიანი ისევ ვალდებულია გაუწიოს მას ანგარიში. და უწევს კიდეცა ამ ანგარიშს. ოსკარ უაილდი, რომლის პოეტურ შემოქმედებით დაინტერესებულია დღეს ჩვენი საზოგადოება, სწორედ იმითია საყურადღებო, რომ იგი, ერთგვარ ესთეტიურის ფილოსოფიით შეიარაღებული, „ტრაგიკულის“ წინააღმდეგ მებრძოლი გამოდის თავის მხატვრულ ნაწარმოებში. უაილდის მხატვრული მოღვაწეობა გაგრძელებაა ძველის-ძველად დაწყებულ მუშაობისა, ეს იგივე „ნავთსაყუდელის“ ძებნაა. გრიგოლ რობაქიძემ ნათლად დაგვანახვა თავის ლექციაში, „რელიგია მშვენიერებისა“ ამაოება ამ ძებნისა და ხაზ გასმით წამოგვიყენა ახალი გამარჯვება „ტრაგიკულისა“.

ეს იყოს საგანი შემდეგ წერილისა. უნდა ვსთქვა, რომ ლექცია მე არ მომისმენია, მაგრამ ხელში მიჭირავს ლექციის ხელნაწერი. ამ ხელნაწერის საშუალებით ადვილად გავითვალისწინებთ საგანს.

**არჩილ ჯორჯაძე.**

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 აპრილი.

## საზღვარ-გარედ.

**ტოკიო.** კობეს ნავთსადგურში აფეთქდა 8060 ფუთი დინამიტი. ქალაქის და მისი მიდამოების მცხოვრებლები ძალიან დაზარალდნენ. დაჭრილების რიცხვი ძალიან ბევრია.

**სალონიკი.** ალბანიაში საქმის გარემოება არ შეცვლილა. მთავრობამ ფერიხოვიჩში თავი მოუყარა ჯარის 24 ბატალიონს. სალონიკიდან ფერიხოვიჩში გაგზავნეს ორი სამთო ბატარეია. მეამბოხეებს ძველი პოზიციები უჭირავთ. შეამავლობამ არ გასჭრა. ალბანელები დაჟინებით თხოულობენ თავიანთ მოთხოვნილებების ასრულებას. მთავრობამ გადასწყვიტა არაფერი ვრ დაუთმოს ალბანელებს. ტყუილი და ტენდენციოზურია ის ხმა, ვითომ ალბანელები მზად იყვნენ მთავრობას დაემორჩილნენ. ექსპედიციის უფროსად დროებით ხელმეორედ დანიშნეს ჯავიდ-ფაშა. ჯავიდ-ფაშამ მესამე კორპუსის უფროსს, შატყობინა ალბანიაში საკმაო ჯარია. ექსპედიციის უფროსი იერიშს არ მიიტანს ალბანელებზე, მხოლოდ განსაკუთრებულ ზომებს მიიღებს.

**სტამბოლი.** გუშინ წელიწადი შესრულდა, რაც რეაქციონერებმა არეულობა მოახდინეს. არეულობის წლის თავმა მშვიდობიანად ჩაიარა. ზოგიერთ მეჩეთებში სალდათებისაგან მოკლული აფიცრების სულის მოსახსენებლად წირვა გადაიხადეს. ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტმა მოკლულ დეპუტატის ემირ-ასლანის მამას დეპეშა გაუგზავნა, ძალიან ვწუხვართ საყვარელ დეპუტატის დაკარგვას და პატივსა ვცემთ მის ხსოვნასაო.

ალბანიიდან კარგი ცნობები მოდის: კოსსოვის ვილაეთის მეთაურების უმრავლესობამ მორჩილება განაცხადა. მიუხედავად ამისა იპეკიდან იუწყებიან, რომ მეამბოხეების კომიტეტი იწვევს კრებას, რომელიც ითათბირებს იმის შესახებ, თუ შემდეგში როგორ იმოქმედონ. ჩრდილოეთ ალბანიაში სულ გაიგზავნება 35,000 ჯარის-კაცი.

**ბერლინი.** ოფიციალურის ცნობებით 31 მარტს, ღამე, არკონის ახლო კრეისერი „მიუნხენი“ დასჯახებია ნაღმოსან № 122. კრეისერი მიუნხენი მცირედ დაზიანებულა. ნაღმოსანი წყლით ავსილა. მოკლულია ორი აფიცერი.

**ვენეცია.** ტარნოვსკაიას საქმე. სასამართლოს დილის სხდომაზედ ილაპარაკა ექიმმა ბიანკიმ. ბიანკი არ ეთანხმება პროფესსორ ბელმანდოს რწმუნებას, ვითომ ნაუმოვი იჭვიანობას დაეღუპოს. ბიანკიმ ისტორიიდან აუარებელი მაგალითები მოიყვანა და ამტკიცებდა რომ ქალებს მამაკაცებზედ დიდი ჰიპნოტიური გავლენა ჰქონიათ და აქვთ. ბიანკის სიტყვით რუსეთში ადამიანის სიცოცხლეს ისე არ აფასებენ როგორც იტალიაში, ნაუმოვიო, სთქვა ბიანკიმ, კომაროვსკის მკვლელობის დროს ისეთ გარემოებაში იყო, რომ მას რისამე მოფიქრება და აწონ-დაწონვა არ შეეძლო. ბრალმდებლის მხარე გამოწვეული ექსპერტი ბორრი დაეთანხმა პროფესსორ ბელმონდოს.

**ვენა.** აღდგომის ვაკაციების შემდეგ დაიწყო დეპუტატთა პალატის სხდომები. თავმჯდომარემ განსაკუთრებულად წამოაყენა კანონ-პროექტი, რომლითაც მთავრობას უფლება ეძლევა ისესხოს 182 მილიონი მანეთი. სოციალ-დემოკრატმა ზეიცმა მოითხოვა, რომ პირველად განიხილულიყო მოხელეების შესახებ კანონ-პროექტი და შემდეგ თავმჯდომარის მიერ წამოყენებული კანონ-პროექტი. ჩეხის დეპუტატები მიემხრნენ ზეიცს. დეპუტატთა პალატამ უარჰყო ზეიცის წინადადება, რამაც დიდი აურ-ზაური გამოიწვია. ჩეხებმა და რადიკალმა დეპუტატებმა პროტესტი განაცხადეს. პალატამ შეუდგა სესხის შესახებ კანონ-პროექტის განხილვას.

**მადრიდი.** მეფემ ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის ძალითაც დაითხოვნილი იქმნება პარლამენტი. დეპუტატთა პალატის არჩევნები მოხდება 25 აპრილს, სენატის 8 მაისს. პარლამენტი მუშაობას შეუდგება 2 ივნისს.

**ლონდონი.** ლორდმა როზბერიმ ლორდთა პალატაში შემდეგი რეზოლიუციები შეიტანა: მომავალ ლორდთა პალატაში შედიან: 1) ლორდები, რომლებსაც ლორდები თავიანთ წრიდან ირჩევენ; 2) მეფისგან დანიშნული პირები; 3) ისინი, რომლებიც სამსახურის გამო პალატის წევრებად ითვლებიან და 4) სხვა წოდებიდან ამორჩეულები. ყველა ლორდების რწმუნების ვადა ერთი და იგივე უნდა იყოს. გამონაკლისს შეადგენენ ისინი, რომლებიც თავიანთ სამსახურის გამო ითვლებიან ლორდთა პალატის წევრებად. ეს უკანასკნელნი ლორდთა პალატის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ იმ ხნის განმავლობაში, რა ხანიც სამსახურში იმყოფებიან.

**შანხაი.** ქალაქ ჩანკშაში, ხენანის პროვინციაში, არეულობაა. ინგლისის მისიონერები იამინში გაიქცნენ. ჩანკშაში სახქაროდ გაიგზავნა ინგლისის ორი სამხედრო გემი.

## ს პ ა რ ს ე თ ი

**თეირანი.** რადგანაც მეჯლისში უკიდურესმა რევოლიუციონერებმა გაიმარჯვეს, ამიტომ სეპეხდარი და სერდარ ასადი საბოლოოდ გადადგნენ. აზრად აქვთ სამინისტროს შედგენა მიანდონ მუსტაფფი-ულმემალიკს. გარეშე საქმეთა მინისტრად დაინიშნება ნავაბ ჰუსეინ-კული-ხანი. ახალი სამინისტროს ლოზუნგია—სრული თავისუფლება სპარსეთისა და ინგლის-რუსეთის გავლენისაგან განთავისუფლება.

## რ უ ს ე თ ი

**პეტერბურგი.** სახელმწიფო დაცვის კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა თავადი შახოვსკი, მეგივნად —ტანცოვი.

სასამართლო რეფორმების შესახებ კომისიამ არ მოიწონა სახელმწიფო სათათბიროს 103 დეპუტატის წინადადება, რომ შემუშავებულიყო სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ კანონ-პროექტი. კომისიამ შესაძლებლად დაინახა შემუშავოს კანონ-პროექტი სიკვდილით დასჯის შეზღუდვის შესახებ.

მთავარმა სამხედრო სასამართლომ განიხილა პირველ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის ხაჟყოფის კუკანოვის და 10 კაცის საქმე. ბრალდებოდათ სოციალისტ-რევოლიუციონერების პარტიის წევრობა, მოკვლა „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ განყოფილების თავმჯდომარის, ნაუმოვის მოკვლა, სოფლის სამმართველოს გაძარცვა და სხვა. პირველად ამათი საქმე განიხილა სამხედრო-სასამართლომ. სასამართლომ მეუსჯა ერთს გაუსამართლება, ორს სხვა და სხვა ვადით გადასახლება და 8 გაამართლა. მთავარმა სამხედრო სასამართლომ დაარღვია სამხედრო სასამართლოს განაჩენი და საქმე ხელმეორედ განსახილველად გადასცა.

**მინსკი.** სამოსამართლო პალატამ დაადგინა შენიშვნა მისცეს თავადაზნაურთა წინამძღოლს ლოპუხინს. ბრალდებოდა ფულის გაფლანგვა. ლოპუხინმა გაფლანგული ფული შემდეგ შეავსო.

**გოროდოკი.** ღამე ცეცხლი გაუჩნდა პოტაშენის სოფლის სამმართველოს. დაიწვა საქმეები და კასა.

**ვარშავა.** სენატორი ნეიდგარდტი შეუდგა საინტენდანტოს, ქალაქისა და ციხის მაღაზიების რევიზიას. ნეიდგარდტმა თანაშემწეებად მიიწვია ადგილობრივ პოლკის შტაბს-აფიცრები.

# ნაწყვეტები

**უკანასკნელი პასუხი.**

ჩემმა პატარა შენიშვნამ ბ-ნ შხეფელის ფელეტონების შესახებ, რომელიც ამას წინად „მომავალ“-ში იყო დაბეჭდილი, მთელი პოლემიკა გამოიწვია. ჯერ იყო და ბ-ნ შხეფელს გამოესარჩლა ბ-ნი მიმოზა და „ახალ სხივში“ მთელი ორი გრძელი წერილი მიძღვნა, ეხლა თვით ბ-ნი შხეფელი ამხედრებულა და ჩემს წინააღმდეგ დაუსტამბავს წერილი იმავე „ახალ სხივ“-ში. ჩემი შენიშვნა ბ-ნი შხეფელის უსამართლობის შესახებ ა. შანშიაშვილისადმი ალბათ არაფრად ეჭაშნიკათ და იმათ მათ და ეხლა სურთ დაარწმუნონ მკითხველი, რომ მართალნი არიან.

ვნახოთ რამდენათ შესძლეს ეს. გავიხსენოთ საკამათო საგანი.

ჩემს საპასუხო წერილში ბ-ნ შხეფელის წინააღმდეგ მე ვსცდილობდი დამერღვია ის აზრი ბ-ნ შხეფელისა, თითქოს ა. შანშიაშვილს სრულიადაც არ აინტერესებდეს მოქალაქობრივი მოტივები და მხოლოდ სიყვარულსა და სამშობლოზე მღეროდეს. ჯერ ერთი, შევნიშნე, ბ-ნ შხეფელს, რომ სამშობლოზე წერა—ეს უკვე მოქალაქობრივი თემაა, და შემდეგ კიდევ მოვიყვანე რამდენიმე ლექსი ა. შანშიაშვილისა, სადაც ნათლადა სჩანდა, რომ ამ პოეტსაც აინტერესებს პოლი-

# ბედის ვარსკვლავი

8 *).

მთელი ამ ხნის განმავლობაში, ბესიკი მხოლოდ შორიდან შეჰყურებდა შუქურს, შესტრფოდა მას, შეჰხაროდა. ბესიკის ფრთაშესხმულ წარმოდგენაში თანდათან სხვიოსანი შეიქმნა შუქური, ნათელმფენელი, უმწიკვლო, ჰაეროვანი, ზეცით მოვლენილი, რომლის არსებაში აღარ იყო არაფერი ქვეყნიური, ხორციელი, მიწური, მძიმე. ყმაწვილი განციფრებით უმზერდა მას, სალოცველ არსებად მიაჩნდა, თაყვანსა სცემდა, როგორც ძალას რასმე უხორცოს. თითონ შუქურის შეხედულობაც ასაზრდოებდა ამგვარ წარმოდგენას: ისე იფურჩქნებოდა პატარა, როგორც შროშანა, უმანკო, სათუთი ყვავილი ნაზის გაზაფხულისა.

მხოლოდ ერთხელ მიეცა ბესიკს ბედნიერი შემთხვევა რამდენიმე წუთი ესუნთქა თავის შუქურთან ერთად ერთისა და იმავე ჰაერით.

დღესასწაული გამართეს სასწავლებელში ნიჭის პატივისაცემლად და სადიდებლად. მოუყარეს თავი მოზარდებს ყველა სკოლებიდან. გამოიყვანეს შეკრებილი ხალხის წინ მჭევრმეტყველნი, ლექსთა მთქმელნი, მომღერალნი. ყველანი ესენი მოსწავლეთაგან იყვნენ დარჩეულნი შუქური და ბესიკიც წამკითხველთა გუნდში ერივნენ. ძალიან ღელავდა ბესიკი, კრთებოდა, ფერი მისდიოდა. განა ხალხი აღელვებდა მას! ხალხს არ უკრთოდა, რადგან ვერც კი ამჩნევდა. ამ ჟამად მარტო თავის ვარსკვლავსა ხედავდა ის, რომელიც მიმოიძროდა იქ, როგორც რამ ქულა თეთრი ნათელ მოსილი წარსდგა შუქური. რა წვრილი ხმით წარმოსთქვა ლექსი! ნაზად, მაგრამ მკაფიოდ ნათქვამი სიტყვები დაფრინავდა დარბაზში ნარნარის რხევით; გაისმა დარბაზში ძლიერი ტაშის ხმა და პატარა თაიგულს თაიგულივე მიართვეს მადლობის ნიშნად.

ერთი ხმა და იყო საგალობელი და ბესიკი უნდა გასულიყო სათქმელად. ზაფრანის ფერი დაედო ყმაწვილს, მზად იყო ალაგობრივ გამქრალიყო, რადგან დარწმუნებული იყო, რომ შუქურის შემდეგ მისი გამოსვლა სწორედ სასაცილო იქმნებოდა ყველასთვის. თვალები ერია ყმაწვილს. ელვის სისწრაფით დაებადა აზრი, გასცლოდა იქაურობას და გადაკარგულიყო სადმე. ის იყო კიდეც აამოძრავა ბავშვი ამ განზრახვამ, როდესაც გამარჯვებულმა და ყველასთვის გამარჯვების მოსურნე შუქურმა შეჰხედა თავის ნათელ თვალებით და ანიშნა წამდგარიყო წინ. შორიდან იცნობდა პატარა ამ ბიჭს, ბუნდად ჰგრძნობდა, რომ იგი მისი თაყვანისმცემელი იყო, ეხლა მსწრაფლ შეიგნო მისი გულისკვეთება და ხელი აღუპყრა, ლონე მიჰფინა. ბესიკისათვის ეს ღიმილი ცის გახსნა იყო, საბედნიერო; მსწრაფლ შეიპყრო ნეტარებამ, სიამის ბურუსში გაეხვია გამოურკვეველში და წარსდგა წინ უნებლიეთ. მხოლოდ მაშინ მოეგო ბესიკი თავს, როდესაც ისევ გაისმა დარბაზში ძლიერი ტაში. მშვენივრად წარმოსთქვა ლექსი აღელვებულმა ბესიკმა.

ეს წამი უბედნიერესი წამი შეიქმნა ბესიკისათვის და დაუვიწყარი. სათაყვანებელ არსების მოულოდნელმა ყურადღებამ, მისმა გამამხნევებელმა ღიმილმა დაიხსნა იგი სამარცხვინო ნაჰიჯისაგან, იქნება დანთქმისაგანაც, რადგან თუ ქალს არ მიეხედნა მისკენ და არ წაეხალისებინა, ის ვერას გზით ვერ გაჰბედამდა ხალხის წინ გამოსვლას, სწორედ გავარდებოდა გარეთ, დაიმალებოდა და აუტანელ სირცხვილში ჩავარდებოდა. უსათუოდ თავს მოიკლავდა ამისთანა მარცხის შემდეგ. მაშ როგორ და ეჩვენებოდა, როგორ და დაენახებოდა თვალით ან მასწავლებლებს, ან ამხანაგებს, ან სხვას?! ან რა პირით და შეჰხვდებოდა სკოლის გზაზე შუქურს?! ქალი რომ მაშინვე იცნობდა და დამცინავის ღიმილით გადახედავდა ამაყად ან ზიზღით პირს შეაქცევდა. ჟრუანტელმა დაუარა ტანში ამის მოგონებაზე, ამ განსაცდელის მოგონებამ ელვა გაუტარა ბავშვს ტვინში და მწვავე რამ ალმა აუტკრიცა პირისახე.

და ბესიკის თვალში ისეც ყოვლად სრულ პატარა არსებას ახალი თვისება დაერთო გულწრფელი—ყოვლად კეთილობა, მოყვასთა სიბრალული, ლმობიერება ფას დაუდებელი.

9.

ბესიკის აღტაცებულ გონებაში შუქური გარდაიქმნა იმის ბედისმწერალ არსებად, იდგა იგი აწ სივრცეში განცალკევებული, მისკენ მიეპყრო ნათელი თვალები და ეს თვალთა სხივი ამხნევებდა ყოველსავე საქმეში. ბესიკს ისე ცხადად, ისე მკაფიოდ დაესახა გონებაში იგი ქმნილება, რომ ცოცხალივით ედგა ყოველჟამს თვალწინ, შესდუღებოდა იგი სურათი იმის ოცნებას, განუშორებელი იყო მისგან და დაუჩრდილავი. თუ რამ მარჯვე ნაბიჯს გადასდგამდა ბესიკი, წარმართი რამ მოუხდებოდა, ნათელი ჩვენება გაუღიმებდა და თითონაც იზიარებდა ბესიკის სიამეს, მასთან ერთად უხაროდა სასიხარულო. თუ ბოროტი რამ წაეკიდებოდა მას, მარცხი მოუვიდოდა და უკუღმართი ნაბიჯი, ის სახეც დაღონდებოდა მოქმედთან ერთად, შუქმფენი თვალები დაბურდებოდნენ, ცრემლით ივსებოდნენ და აღარ უყურებდნენ მას სევდიანები. ეს სურათი თანა სდევდა ბესიკს, განუყრელად მასთან იმყოფებოდა. ის ეხლა შეეჩვია ამ ხელთუქმნელ არსებას, როგორც თავის განუყრელ მფარველს. ეხლა გულწრფელად სწამდა, რომ თვითეულ ადამიანსა ჰყავს განგებისაგან მიჩენებული ანგელოსი მფარველი და წინამძღვარი, რომ ბედნიერი მარად გრძნობს ამისთანა კეთილ სულის თანახლებას, ხოლო გამჭრიახი გონების თვალი კიდეცა ჰხედავს მას. ბესიკი კი უფრო ბედნიერი იყო: იგი იცნობდა თავის ბედის მწერალს, იცოდა იმისი სავანე, იმისი სახელი. მაგრამ ეს ქმნილება მაინც ნივთიერი არ იყო იმისთვის, ჯერ არ იყო იგი იმისთვის ხორცშესხმული, ჯერ ისევ ნათელი იყო ეთეროვანი, უნივთო, შეუმართებელ-შეუხებელი.

და ეს ძვირფასი სახე წინამძღვარი იყო იმის ეკლიან და ძნელ გზაზე ცხოვრებისა შემდეგაც, როცა გასცდა იგი გზა მშობლების სახლს და გავიდა ახალგაზრდა ცხოვრების თვალუწვდენელ ტაშირზე. იგი სახე ევლინებოდა ღრუბლად მაჩრდილებლად ცხოვრების უდაბნოში ურწყულში და ფიცხელში და ესხურებოდა ცვარად მაგრილებლად ცხოვრების ალისაგან დამწვარ იმის არსებას; იგი სახე სვეტად ნათლისად უძღოდა წინ ცხოვრების წყვდიადში და უნათებდა სავალს ბნელს. იგივე ძვირფასი სახე ახელმძღვანელებდა და ძალას აძლევდა, გამბედაობას უნერგავდა, როდესაც ბესიკმა გაჰბედა მარტოთ მარტომ უსაგზლოთ ტფილისში ჩასვლა საშუალების მოსაპოებლად, რომ შესძლებიყო ახლა იქ განეგრძო თავისი სწავლა და შრომა.

—...ახლა მსურს საშუალო სასწავლებელში განვაგრძო სწავლა, შეძლება კი არა მაქვს: უნდა დამეხმაროთ!—შესთხოვა ბესიკმა ცნობილ ქველმოქმედს.

შეძლე მობეზრებული იყო ამისთანა მთხოვნელებისაგან, ამგვარ ხალხს ჰგზავნიდა ხოლმე თავის მოურავთან და იმას უნდა მიეცა მათთვის განსაზღვრილი პასუხი. მაგრამ ეხლა თითონ გაუწოდა აღელვებულ ჭაბუკს მადლიანი მარჯვენა: ცეცხლი რამ შენიშნა ადგზნებული მთხოვნელის თვალებში, მიმზიდველი გარკვეული აზრი აღბეჭდოდა ფართო შუბლზე, მისი სახე, მთელი მისი არსება გამომხატველი იყო იმ წუთს გულწრფელის და ძლიერის მისწრაფებისა და ამ სანახაობამ მოხიბლა.

სწორედ სანეტარო დრო დაუდგა ბესიკს ამის შემდეგ: უზრუნველყოფილი, დაწყნარებული, ქვეყნის მადლიერი სურვილით ეწაფა სწავლის ნაკადულს, აჭყვა ამ ჩანჩქარის ძლიერს დენას და ამ ნაკადმა მიიყვანა ბოლოს იმ მეცნიერების ედემში, სადაც მრავლად არის გადაშლილი თვალთწარმტაცი ყვავილი სწავლისა ფერადფერადი. აქ, ამ მეცნიერების ტაძარში, დაულალავად და შეგნებულად შრომობდა ჭაბუკი და მალე შეიქმნა შესამჩნევი, თვალსაჩინო, იმედების გამღვიძებელი ახალგაზდა.

ახ, რა ბედნიერი დრო იყო ის დრო ბესიკისთვის: ყველა სიყვარულით და აღტაცებით იხსენებდა იმის მადლიან სახელს და შორეული სამშობლოც ისე უყურებდა, როგორც მომავალ იმედს.

10.

შეხედულობითაც კარგი ახალგაზრდა დადგა ბესიკი; მაღალი, ხმელხმელი, ალვისხესავით სწორე, გულმკერდიანი; გრძელი ოდნავ ხუჭუჭი თმა მხრებზე გადმოჰფენოდა რაფაელ სენციოსავით. აზრი გამოსჭვიოდა იმის მცირედ დაღონებულ თვალებში და გრძნობა ძლიერი, იმის სახეზე ფიქრთა ნასახი აღბეჭდილიყო და თავისკენ იზიდავდა ადამიანს. კეთილი იყო ბესიკი ბუნებით და პირველ ნახევარზევე მიინდობდა ადამიანს. აზრიანი საუბარი იცოდა, მოკლედ მოჭრილი. მსჯელობდა დინჯად, დაკვირვებით. აზრთა თანისთანობა და კავშირი ძალას აძლევდა იმის ნათქვამს. რწმენის კაცი იყო: სანამ აზრი მართალი მიაჩნდა და ნაგრძნობი ფაქიზი, ვერ უღალატებდა მათ, მაგრამ ხათრიანი იყო და ერიდებოდა ძალისძალად თავს მოეხვივნა ვისთვისმე თავისი აზრი თუ სურვილი. როგორც ნიჭიერ კაცს და მშრომელს,

*) იხ. „დროება“ N 73.

...კური თავისუფლება და მშრომელი ...ლხის ბედ-იღბალი.

...ს იყო საკამათო საგანი და ამ სწო-...ამ საგნის შესახებ უნდა სწარმოებ-...ს პოლემიკა და სხვა რამეების ჩარევა ...ჭირო არ არის. ჩემი ოპონენტები კი ...ავის წერილებს კაზმავენ იმდენ სხვა და სხვა რამეებით, ისეთებით, რომელ-...აც არავითარი კავშირი არა აქვთ ...დაო საგანთან, რომ შესაძლებელია ...ცდომაში შეიყვანონ მკითხველი და მართლაც აალღინონ საკამათო საგანს. ეს საგანი კი ნათელია და ამ ნათელ საგანზე ვილაპარაკოთ. ვნახოთ, აბა რა სთქვეს ამ ნათელ საგნის შესახებ ჩემმა ოპონენტებმა, ვნახოთ, ...ცვალა თუ არა ფერი ამ საგანმა ჩემის ოპონენტების წერილებში.

პირველად ხომ, როგორც ზევითაც მოვიხსენიე, ბ-ნმა შხეფელმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ა. შანშიაშვილი „მხოლოდ სიყვარულს და სამშობლოს უკმევს გუნდრუკსო“. ფრჩხილებში ჩასმული წინადადება ეკუთვნის ბ-ნ მიმოზას და შეეხება ა. შანშიაშვილის დახასიათებას ა. შხეფელის მიერ. ბ-ნ შხეფელის წერილი მეც ისე გავიგე, როგორც ბ-ნმა მიმოზამ, და ამიტომ რამოდენიმე ლექსი მოვიყვანე ა. შანშიაშვილისა იმ თემაზე, რომელსაც მარტო სთვლის მოქალაქობრივ თემად ბ-ნი შხეფელი. მეორე ჩემი ოპონენტი ბ-ნი მიმოზა დამეთანხმა, რომ ამ ლექსებში მართლაც რომ მოქალაქობრივი მოტივებიაო, მაგრამ მასთან დასძინა: „როდისაა ეს ლექსები დაწერილი? განა რუსეთის უდიდესი დეკადენტი ბალმონტი არ იყო, რომ 1905 წ. პროლეტარიატს გუნდრუკს უკმევდაო?“ გამოდიოდა, რომ ა. შანშიაშვილს რევოლიუციის დროს დაუწერია ის ლექსები, რომელნიც მე მოვიყვანე ჩემს პასუხში. ამაზე ვუპასუხე ბ-ნ მიმოზას, რომ ეს ლექსები ა. შანშიაშვილისა მოძრაობის დროს კი არა, რეაქციის დროს არის დაწერილი-მეთქი, რაც თავისთავად მტკიცდებოდა თვით ამ ლექსების შინაარსით.

ეხლა ამაზე ახალი პასუხი ისმის ბ-ნ მიმოზასი: მე არ მითქვამს, რომ ეს ლექსები ა. შანშიაშვილისა 1905 წ. არის დაწერილიო (თუმცა იმის სიტყვებიდან, რომელიც ზევით მოვიყვანე, ნათლად გამოსჭვიოდა ეს აზრი), მე მხოლოდ ვამბობ, რომ ის ლექსები იმ დროს არის დაწერილი, როდესაც კიდევ იყო ჰაერი ბრძოლის სულით გაჟღენთილიო“. ბ-ნი შხეფელი კი რიხიანად გაიძახის, მოქალაქობრივ თემაზე ა. შანშიაშვილს „ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ არაფერი დაუწერია, კიდევ ვიმეორებ—არაფერი დაუწერიაო“. ჩემის ოპონენტების საუბედუროდ არც ეს არის მართალი. ა. შანშიაშვილი ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვიდა 1906 წ. მისი ლექსები კი მოქალაქობრივ თემაზე იბეჭდებოდა 1906, 1907 წ. და თვით 1908 წელსაც როდესაც ჰაერში ბრძოლის სული სრულიადაც აღარ იყო, რეაქცია მძვინვარებდა ისე, როგორც დღეს, და ხელში მოძრაობიდან მხოლოდ-ღა „синица“ შეგვრჩა, სამ ივნისის სათათბირო. ა. შანშიაშვილი კი 1908 წლის დამლევს მიილტვოდა

იქ, სად ტანჯვა არ არსებობს,
არც დაჰფრქვევთ ცრემლს მდუღარეს,
სად მზე მუდამ სხივებს მოგვფენს,
არ დაზრდილავს ნისლი მთვარეს;
და ვერც ვნახავთ მშრომელთ სახლკარს
წითლად ცეცხლში მდუღარეს“!

(„ფასკუნჯი“, 2 ნოემბერი 1908 წ.)

ჩემი ოპონენტი კი ამაყად გაიძახის, ა. შანშიაშვილს ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ მოქალაქობრივ თემაზე არაფერი დაუწერიაო. ეს ალბად იმისი მიზეზია, რომ ბ-ნი შხეფელი ა. შანშიაშვილის ნაწარმოებებს მხოლოდ მ. გაჩეჩილაძის „ახალ-ჩანგიდან“ იცნობს. ასეთია მათი სიმართლე და მათი მსჯელობა!

დაუკვირდით მკითხველო, ეხლა მათ აზრთა მსვლელობას. პირველად სთქვეს—მოქალაქობრივი თემა ა. შანშიაშვილს სრულიად არ აინტერესებსო. შემდეგ, როდესაც ეს მართალი არ გამოადგა, სთქვეს—არა, ა. შანშიაშვილმა ამ თემაზე თუმცა კი დაწერა ლექსები, მაგრამ მხოლოდ მოძრაობის დროსაო. როდესაც ამაშიაც გამტყუნდნენ, ეხლა გაიძახიან—არა, მოძრაობის დროს კი არ დაწერა ა. შანშიაშვილმა ლექსები ამ თემაზე, არამედ რეაქციის დადგომის დროს, მაგრამ მაშინ „ჰაერი ბრძოლის სულით იყო გაჟღენთილიო“. მათდა საუბედუროდ, არც ეს გამოადგათ მართალი. დარწმუნებული ვარ ეხლაც ეცდებიან ჩემი ოპონენტები მონახონ რაიმე ვითომდა საბუთი ა. შანშიაშვილის წინაალმდეგ, რომ მიზეზი იმისა, თუ რათ დაწერა ამ ახალგაზრდა პოეტმა ასეთი ლექსი იმ დროს, როდესაც ჰაერში ბრძოლის სული უკვე აღარ იყო.

მაგრამ დავანებოთ თავი ყველა ამას და გულწრფელად დავეკითხოთ მკითხველს, რას ნიშნავს ასეთი მსჯელობა ჩემი ოპონენტებისა? ნუ თუ არა იმას, რომ ჩვენს ცხოვრებაში ფეხი მოიკიდა ერთმა მეტად არა სასურველმა მოვლენამ: ზოგიერთნი ისე არიან გატაცებულნი თავიანთ ვიწრო პარტიულ მოსაზრებით, რომ ხშირად ამ მოსაზრებათა გავლენით ცხად უსამართლობას სჩადიან, ჭეშმარიტებას ღალატობენ და სასიხარულო მოვლენას სამწუხაროდ სთვლიან.

* * *

აი, ყველა ის, რაც შეეხებოდა სადაო საგანს, რომელიც პირველად იყო წამოყენებული. მაგრამ ეხლა კი, როგორც ზევითა ვსთქვი, ჩემმა ოპონენტებმა თავის წერილებში იმდენი სხვა და სხვა ნაირი აზრი გამოსთქვეს, რომ საკამათო საგანი ამ აზრებში გაითქვიფა და მათ წერილებში სანთლით საძებარი გახდა. განსაკუთრებით ამ მხრივ თავი იჩინა ბ-ნმა მიმოზამ, რომელიც საერთოდ გულწრფელად უნდა აღვიაროთ მეტად ახირებული პოლემისტი გამოდგა.

მოვიყვან ერთ მაგალითს. ჩემს საპასუხო წერილში ვსწერდი, რომ არც მე მიმაჩნია დეკადენტური მიმართულება დადებით (კორრექტურული შეცდომა, იყო გაზეთში დაბეჭდილი იყო—დადებულ) მოვლენად რუსულ ლიტერატურაში და მასთან კიდევ მეტიც დავუმატე, რომ ა. შანშიაშვილი შორს ვერ წავა, თუ იმის გავლენას დაემორჩილა მეთქი. მგონია, რომ ჩემი აზრი ყველასათვის ნათლად იყო გამოთქმული, ეხლა ნახეთ, რასა სწერს ბ-ნი მიმოზა! „ვერ დავეთანხმებით ბ. ახალს, თითქოს მას არ სწამდეს არციბაშევ-ბალმონტებიო“. მოდით და ასეთ ოპონენტს ეკამათეთ! თუ ის არა სჯერა ბ-ნ მიმოზას, რომ მხოლოდ იმასა ვსწერ, რასაცა ვგრძნობ და რა აზრისაცა ვარ, თავს რად იწუხებდა და გრძელ საპასუხო წერილს რათ სწერდა. პირდაპირ ეთქვა, არ მჯერა, მართალს არ ამბობს ახალიო და საქმეც ცხადი იქნებოდა. მაგრამ ძაღლის თავი სულ სხვაგან არის დამარხული. ბ-ნ მიმოზას სურდა სადაო საგანს ასცილებოდა და კამათი სულ სხვაზე გადაეტანა—დეკადენტურ მიმართულებაზე; მას სურდა დაეჯერებინა მკითხველი, რომ ჩემი „გული ცისკენ მიილტვის“, „ცის შვილს კი მიწის არა ესმისრა“. მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლდა: ჩემ მხრივ დეკადენტურ მიმართულების უარყოფის შემდეგ ბ-ნ მიმოზას მიერ საკამათო საგანი ხელიდან გამოეცალა, მაგრამ ეს მას სრულიადაც არ სურდა და ისევ დეკადენტობაზე განაგრძო წერა, ოპონენტი წარმოიდგინა და დონ-კიხოტივით ქარის წისქვილებს დაუწყო ბრძოლა. ჩინებული ოინია!

არა მგონია, რომ ბ-ნი მიმოზა იმ ჯგუფს მიმოზისას ეკუთვნოდეს, რომელსაც ლათინურად pudica-ს უწოდებენ.

* * *

საერთოდ ამ ჩვენმა პოლემიკამ ერთი მეტად საყურადღებო მოვლენა აღმოაჩინა. ზოგიერთები გაცხარებით იცავენ იმ აზრს, თითქოს პოეტის მნიშვნელობა იმითი განიზომებოდეს, აქვს თუ არა დაწერილი ლექსი მუშათა საკითხზე და თუ აქვს—რამდენი. სხვა თემა თურმე სრულიად უვარგისი ყოფილა პოეტისთვის, განსაკუთრებით კი არ ვარგებულა სამშობლოზე წერა: სამშობლოსა და სამშობლოს სიყვარულის შესახებ წერაშიო, ამბობს ბ-ნი შხეფელი, „მე პირადად ვერავითარ აზრს ვერ ვპოულობო“. აფსუს, ჩვენო პოეტებო მე-19 საუკუნისა, როგორ ტყუილად დაგიკარგავთ დრო „უაზრო“ ლექსების წერაში!

მე-კი, ცოდვილს, მეგონა, რომ პოეტის მნიშვნელობა განიზომება ჯერ ყველაზე უწინ მისი ნიჭით. თუ პოეტს ბუნებრივი პოეტური ნიჭი არა აქვს, რაც უნდა თემა აიღოს—იმის ლექსებს ძალდატანება დაეტყობა, არ ექნება ის ბუნებრივობა, რომელიც პირველ თვისებად უნდა ჩაითვალოს პოეტის შემოქმედებისა, მოკლედ რომ ვსთქვათ, მისი ლექსები—ლექსები კი არ იქნება, არამედ გარითმული წინადადებანი. თემად კი შეიძლება იქნეს არა მარტო მუშათა საკითხი, როგორც ეს ბ-ნ შხეფელს ჰგონია, არამედ როგორც ცხოვრების მიერ წამოყენებული საჭირ-ბოროტო საკითხები, სხვა და სხვაგვარი სოციალური მოვლენანი, მათ შორის სამშობლოს გაჭირვებაც, ისე ადამიანის ბუნება მისი მრავალფეროვანობით, ადამიანის სხვა და სხვა გრძნობის გამოხატვა, სხვა და სხვაგვარი პსიხოლოგიური მომენტები, ბუნების აღწერილობა და კიდევ ბევრი სხვა...

ყოველივე ის, რასაც ვამბობ, ანბანური ჭეშმარიტებაა, ათასჯერ გადაღეჭილი, ყველასათვის ადვილი გასაგები, ყველას მიერ კარგად ცნობილი. მიკვირს მხოლოდ, რათ არა სურთ ჩემ ოპონენტებს გაიგონ ეს. მაგრამ ყველა ეს იმისი ბრალია, რომ ლიტერატურული კრიტიკა ვიწრო პარტიულ თვალსაზრისით ყოვლად შეუძლებელია და ყოველთვის სახიფათო დასკვნამდის მიიყვანს ამგვარ კრიტიკოსს.

**ახალი.**

**„დროების“ ხვალინდელ სურათებიან დამატების შინაარსი: „მსხვერპლი“,—დრამა (შემდეგი) გედევანიშვილისა; სურათები: ინგილოური ტიპები (სამი სურათი) და კარიკატურები** („რობაქიძე და კასირი“, „პეტერბურგელი სტუდენტები“ და „კარიკატურისტი ო. შლინგი“).

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **რკინის გზა კავკასიონის მთაზე.** დეპეშათა სააგენტო იუწყება: „გზათა სამინისტროსთან შემდგარმა განსაკუთრებულმა კომისიამ არჩია, რომ რკინის გზამ კავკასიონის მთაზე არხოტის (ხევსურეთზე) უღელტეხილით გაიაროს. რკინის გზა უნდა დასრულდეს 8½ წლის განმავლობაში“.

✦ **ყაჩაღების ძებნა.** 30 მარტს, 6 საათზე, ტფილისიდან გორში ამოიყვანეს პოლიციის ძაღლები ლანზე და დიანა. სადგურზე აუარებელი ხალხი უცდიდა. ძაღლები მიიყვანეს უცნობ მოკლულის გვამთან, დაასუნნებინეს და მერე გაუშვეს. ძაღლებმა ჩქარა იპოვეს კვალი და მთაზე ავიდნენ. გზა და გზა ძაღლები პოულობდნენ სისხლს, რომელიც სდიოდა ამხანაგების მიერ გატაცებულ დაჭრილ ყაჩაღს. ბოლოს ძაღლებმა კვალი მახლობელ სოფელში, ღვარებში მიიტანეს. აქ გლეხებმა სთქვეს, რომ მართლა იყო 15 შეიარაღებული უცნობი, რომელთაც გაიარეს გზად და წავიდნენო. ძებნამ გათენებამდე გასტანა, რის შემდეგაც დიდი წვიმა დაიწყო და ძებნა შეუძლებელი გახდა, თუმცა ძაღლები კიდევ მისდევდნენ კვალს.

✦ **სესხის გადახდა.** წარსულ შემოდგომაზე, როგორც ვიცით, გორის მაზრაში და ზოგგან სხვაგანაც მოუსავლობით გაჭირვებულ გლეხობას დაურიგეს ხორბალი, კომლზე სამი ფუთიდან ათ ფუთამდე. ფუთი ფქვილი მაშინ იყიდებოდა ექვს-შვიდ აბაზად. ბევრს ეგონა, ამ ფასად ჩაგვითვლიანო. წელს უკვე დაიწყო სესხის აკრეფა ფულად. ფუთში იღებენ ორ მანეთსა და შვიდ შაურს.

✦ **ორდენის პატრონი.** „კასპის“ სიტყვით, ბაქოს სამხედრო უფროსი ეძებს ეფრეიტორს ნიკოლოზ გოგოლაძეს. ნიკოლოზ გოგოლაძეს მიუღია სამხედრო ორდენი, რისთვისაც პენსია დაუნიშნიათ. ბაქოს სამხედრო უფროსს არა სცოდნია გოგოლაძეს ადრესი, რომ დანიშნული პენსია მისცეს.

✦ **მეხილეობის კურსები.** მეხილეობის საზოგადოება 1—16 ივნისს ტფილისში მართავს კურსებს, რომელზედაც წაიკითხავენ ლექციებს ხილის გახმობისა და კონსერვების მომზადების შესახებ. კურსების გამგედ დანიშნულია ტფ. საბაღოსნო სკოლის გამგე პ. მელია.

**ი. ს. ყორღანოვი.** ტფილისში გარდაცვლილა ი. ს. ყორღანოვი. „კავკ.“ს სიტყვით, განსვენებულს ნაწილი თავის ქონებისა საქველ-მოქმედოდ დაუტოვებია.

✦ **სეირნობა და ლატარია.** წ.-კითხვის საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, 2 მაისს მუშტაიდში გამართოს დიდი სახალხო სეირნობა ლატარია ალეგრით. 12 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე გაიმართება სახალხო სეირნობა, ხოლო 4 საათიდან—საჯარო სეირნობა. სეირნობაში მონაწილეობას მიიღებს გიმნასტიური საზოგადოება „სოკოლი“. ლატარიაში ჩააგდებენ ათასამდე ნივთს. იმღერებს კავსაძის ხორო, დაუკრავს საზანდარი და ორკესტრი. გამგეობა ქალთა კამისიის დახმარებით ეხლავე შეუდგა მზადებას. ლატარიისთვის ნივთებით შემოწირულებას გამგეობა იღებს თავის კანცელარიაში, სასახლის ქუჩაზე.

✦ **ექსკურსია მცხეთაში.** როგორც ვწერდით, ხვალ დილის მატარებლით მცხეთას მიემგზავრება ექსკურსია ისტორიულ ნაშთა დასათვალიერებლად. მსურველთ შეუძლიათ ჩაეწერონ „წ.-კ. საზოგადოების“ მაღაზიაში დღეს, საღამოს შვიდ საათამდე.

✦ **შეიარაღებული თავდასხმა.** ქარელიდან გვატყობინებენ: 30 მარტს, ღამის 9 საათზე, სადგურ ქარელის მახლობლად რკინის გზის მუშების კაზარმას დაეცა რამდენიმე შეიარაღებული უცნობი, მძიმედ დასჭრეს უფროსი მუშა ბესარიონ ბაბლიძე, ძალიან სცემეს მუშას ნიკ. ტალანაძეს, დაცარცვეს ყველა მუშები და მიიმალნენ.

✦ **საზოგადოებრივ კლუბში.** დღეს, საზოგადოებრივ კლუბში (ბირჟის დარბაზი) გაიმართება საუბარი ი. ვ. ბაევის რეფერატის გამო („იბსენი და ტოლსტოი, როგორც მორალისტები“). საუბრის შემდეგ დაიდგმება 1 მოქმედებიანი ხუმრობა ესპერანტოს ენაზე „აქ ლაპარაკობენ ესპერანტულად“.

✦ **მკვლელობა.** სენაკის მაზ. ს. ხანათში გლ. მანუჩარ მიმინოშვილს ცუდი ყოფაქცევისათვის 29 მარტს მოუკლავს ცოლი ნადია და მერე თავი ჩამოუხჩვია.

✦ **წვრილი კრედიტის საზოგადოება.** ცხინვალში გაუხსნიათ წვრილი კრედიტის საზოგადოება. ჩაწერილა 80 წევრი ხაზინას მიუცია 4000 მანეთი.

✦ **დაჯარიმება.** დაჯარიმებულ იქმნენ: 25 მან. ყასპები მჭედლიშვი-

---

...საქმათ ცოდნა ჰქონდა შეძენილი და სწავლა რომ დაამთავრა, მაშინვე განვითარებულ ახალგაზრდად ჩაითვლებოდა. ხალხის შვილი იყო, გული შესტკიოდა ხალხისთვის და იმის სამსახურად ამზადებდა თავის თავს, იცოდა სიძნელე და სიმძიმე ამ საქმისა, მაგრამ სწამდა, რომ ნალვაწი არ დაილუპებოდა და გამოიღებდა ოდესმე ნაყოფს კეთილს.

„ხალხის შვილი ვარ მშრომლისა, ხალხმა მომანიჭა სიცოცხლე, მანვე მომცა ღონე აღზრდისა თუ განვითარებისა და მოვალე ვარ ამაგი დაუფასო მას, მოლოდინი გაუმართლო, მცირედ მაინც შევუმსუბუქო ტვირთი მძიმე ცხოვრებისა“—ფიქრობდა ახალგაზრდა.

არ უყვარდა ბესიკს გრძნობათა თუ სურვილთა გამოფენა, მორიდებული იყო, მაგრამ კეთილს ისე უფრთხილდებოდა, როგორც თვალის ჩინს.

„კეთილი გრძნობები თუ მისწრაფებები დიდის შრომითა აქვს კაცობრიობას მოპოვებული, თავის ბუნებაში დანერგილი, იქ ნახარები, გადაფურჩქვნილი და მემკვიდრეობით ჩვენდა გადმოცემული, ჩვენი მოვალეობაა გავუფრთხილდეთ ამ ძვირფასს გრძნობებს, გავამრავლოთ, გავაფართოვოთ, გავამშვენიეროთ ეს ფას-დაუდებელი საუნჯე, რადგან საბოლოოდ მხოლოდ ამ კეთილმა გრძნობებმა უნდა შესძლონ ადამიანთა ცხოვრების საბედნიეროდ მოწყობა“.

პიროვნება იყო ბესიკი განსაზღვრული და პირად მისწრაფების მოსპობას არცა ჰფიქრობდა, არც საჭიროდ სთვლიდა და ვერც შესაძლებლად.

„თუ საქმეს პირადი მისწრაფება არ დაჰყოლია თან, ის საქმე არ არის სრული, ის საქმე გულმკვდარია და ცივი. მხოლოდ პირადი იგი მისწრაფება უნდა იყოს ფაქიზი და საზოგადო კეთილთან შეწყობილი, ძმურად მასთან ხელ-გადახვეული, მასთან მჭიდროდ ჩაწნულ-ჩახლართული, რომ ორივე მისწრაფება, პირადი და საზოგადო, განამტკიცებდნენ ერთმანეთს და ერთად მისწრაფებოდნენ საქვეყნო სიკეთისადმი“, ფიქრობდა ჭაბუკი.

ესეთი იყო აზრთა მსვლელობა და ზნეობრივი სახე ახალგაზრდასი.

თითონ ბესიკს პირადი, კერძოდ ის მიუხაროდა ცხოვრებაში, რომ თუ საზოგადო საქმეს გაუძღვებოდა, რამე კეთილს მოუტანდა ერს, მაშინ კმაყოფილი შეიქნებოდა თავის-თავისა და საყვარელი თავისიანებისა, მცნობებისა, იქნება მთელი ხალხისაც. მაშინ ხომ მისი შუქურიც მიჰხედავდა, შეჰნიშნავდა მას, მოეწონებოდა მისი შრომა და გაუღიმებდა გასამხნევებლად. ეს იქნებოდა საუკეთესო ჯილდო მისთვის მიძღვნილი სხვისაგან. სიმდიდრეს და ნივთიერ კეთილდღეობას ვერ დაიდებდა ბესიკი ერთად ერთ მიზნად: სიღარიბეში აღზრდილს ხელ-მოკლეობა ვერ აშინებდა, თუმცა სატრფიალოსაც ვეღარა ჰხედავდა სიღარიბეში და ნაკლულევანებაში. საზოგადოდ ამ კითხვაზე მცირედა ჰფიქრობდა ჭაბუკი, რადგან მისი აზრით საზრდო არა ღირდა იმად, რომ ადამიანს ცხოვრების მიზნად დაესახა მხოლოდ მისი შეძენა.

ბესიკს თავისი ბედის ვარსკვლავი ჩრდილოეთშიაც უბრწყინავდა შორიდან, იქაც მფარველად მოევლინა და დაცვა ზნეობრივი ხრწნილებისაგან. იქ ბაღნარია სირინოზთა, მრავალ-ფერია სიმრავლე მათი, გრძნეულნი ჰხიბლავენ იქ მოგზაურთ სპეტაკ სხეულთა კეთილ-გემოვნებით და სიადვილით. ბევრი ახალგაზრდა ნიჭი მოგვიშთვეს მათ თავიანთ ალერსის ტკბილ ბადეში, ამოსწოვეს ტვინი და სიცოცხლით სავსე იმედის ნაცვლად გადმოგვიგდეს ლეში ხენეში, მშვინიერი. ბესიკი ვერ დაიმონა ამ საცთურმა სანუკველმა, ვერ ჩანთქა იგი მთლად, რადგან ამ მაცთუნებელთა და ჭაბუკის შუა იდგა ხელთუქმნელი სურათი უმანკო შუქურისა და უხილავის ძალით უკუაგდებდა იმას მომჯადოებელ არედან.

ეხში კი შევიდა ჭაბუკი და მისმა ოცნებამ შუქურმაც ხორცი შეისხა, უნივთო განყენებულმა არსებამ ნივთიერება შეიმოსა, დაეშო ზეციდან ქვეყნად და გაიფურჩქნა ბესიკის გონების თვალ-წინ სურვილთა შესაკრებელ ქმნილებად, სიტკბოების მომნიჭებელ პიროვნებად. ეხლა შუქური ყმაწვილკაცის წარმოდგენაში ღვთაება აღარ იყო უნივთო, მხოლოდ სული სათაყვანებელი, არამედ ქალი იყო სრული, ყვავილი ნეტარებისა მოსასთვლელად შექმნილი, სიხარულის მომნიჭებელი. ეხლა შუქური შეიქმნა ბესიკის სიყვარულის განხორციელება, უიმედო სიყვარულისა, რადგან დიდი მზღვარი სძევს შუქურისა და ჩემ შუა, უფსკრული გადუვალი. ვინ ის, გალაღებულ ოჯახის ქალი მშვენიერი, და ვინ მე, ვიღაც დაბალის შვილი.

ოცნებაშიაც კი ვერ გაბედნა ბესიკს სათავისოდ დაესახა შუქური, მაგრამ მაინც ის იყო ერთად ერთი ქალი, რომელთანაც შეეძლო ვაჟს შეერთებინა თავისი ბედი.

—და რადგან ესეთი ბედნიერება შეუძლებელია ჩემთვის, ხოლო სხვასთან შეუღლება არ ძალმიძს, ამისთვის ქალ-ვაჟის საკითხი უკვე ფუჭია ჩემთვის და საკუთარ ოჯახზე ფიქრი შეუძლებელი. ეს ხომ იმას ეგვანება, მოვისურვო მიახლოვება მთვარისა ან მოწყვეტა შუქურ-ვარსკვლავისა.

ეს იყო ჭაბუკის დარდი საიდუმლო კაეშანი, დანერგილი იმის გულში, სევდა ფარული, რომლის შებრძოლება ვერ ძალედვა. ეს სევდა მხოლოდ მაშინ კანკარდებოდა ჭაბუკის გულში, როცა შეხვდებოდა გულისცემა მისი, როდესაც დაუყოფდა ჭაბუკს მიწა პირსა.

## 11.

და შუქური გადიფურჩქნა მაისის ვარდად სუნნელოვანად, სავსე მთვარედ მაცისკროვნებლად, მიმზიდველად. აივსო ქალი წადილი ხორციელ გამჭვირვალით, შუქმფენელით. მოლტივით მოქნილი ტანი მწყობრი რხევით გულისთქმას აღვიძებდა ძლიერს. ოქროს ფერი თმა უხვად მოსდებოდა გარს ხელოვნურად ნაქანდაკებ საყვარელ თავს, და თვითნებურად ცელქი: იფურტკნებოდა წამისწამ და ეშხით ეხვეოდა ბროლის ყელს, ეკონებოდა სპეტაკ შუბლს, დაჟინებით ჰკოცნიდა ვარდ ლოყებს. აბორცვებულ გულ-მკერდში ტკბილ სურვილებს დაესადგურებინათ და მძლავრად აღელვებდნენ მას. კარგად იცვამ-იხურავდა ქალი, სუფთად, კოხტად და ისეც მოხდენილ ტალავარს თითონ უფრო ალამაზებდა მშვენიერთა ხელმწიფე. მით უფრო მომჯადოვებელი იყო შუქური, რომ მასში მწყობრად შეერთებულიყო ხორცის სიმდიდრესთან და კეთილ ქმნილებასთან სულის სიმდიდრე და სიკეთე.

ნამდვილი განათლებული ქალი დადგა შუქური და თანაც კეთილი, თანამგრძნობი უბედოთა, მოყვასთ მოსიყვარულე. მამის სახლში ისე იყო პატარა, რომ სწავლა უადვილდებოდა: წიგნი თუ რვეული, ქაღალდი თუ კალამი, საკუთარი კუთხე და მაგიდა, ხელმძღვანელი და ყოველგვარი მიმარჯვება მზად იყო მისთვის ყოველთვის. ნიჭიერი ბავშვი ფართოდ სარგებლობდა ამგვარ ხელის შეწყობით და სასწავლებელში ყოველთვის საუკეთესოდ ითვლებოდა. ამასთან ადრე შეეჩვია წიგნების კითხვას და მალე განვითარდა. როცა ზემო სასწავლებელში გადავიდა, პანსიონში მოჰყვა და წინანდელ თავისუფალ ცხოვრებასთან ეხამუშა ჯერ, მაგრამ მერე შეეჩვია და ამ გარემოებასაც თავისი გავლენა ჰქონდა იმის ხასიათზე: იქ შეეჩვია თავის სურვილების შეკავებას საზოგადო წესის პატივისცემას და მიყოლას; იქვე გაიცნო ახლო მრავალი ახალი ხასიათი და შეექსა თავის ქცევა შეეფერებინა სხვის მოქმედებასთან.

შუქური იცნობდა სოფელსაც: მის პატარობასაც და შემდეგაც თენგიზის ოჯახი ზაფხულობით სოფლად გადაოდა თავის მამულში. ჰაერის საცვლელად კარგი იყო ეს და მოსავალსაც პატრონის ხელი და თვალი ესაჭიროებოდა. შუქურს არ მოსწონდა განცალკევებული ცხოვრება და სოფლადაც გარშემორტყმული იყო ტოლ-ამხანაგებით. იქ მისი ტოლები თუ მეგობრები იყვნენ სოფლის გოგოები. უყვარდა შუქურს თავის ტოლებთან ყოფნა, მათთან თამაშობა, მათი ზღაპრებისა თუ ლექსების სმენა, გამოცანების ახსნა, მათთან ერთად ტიკინებისთვის ტანთსაცმელის ქსოვნა-კერვა, კარმიდამოზე, მინდორში ან ნაკადის პირას ხტომა-თამაში, ყვავილების კრეფა, პეპლების დევნა. თითონაც უამბობდა გოგოებს ქალაქისა ან სკოლის ამბებს, უკითხავდა ლექსებს.

ბავშვი წამოიზარდა, მაგრამ ტოლ-ამხანაგთან კავშირი არ შესწყვიტა, არც მედიდურად დაუწყო მათ მზერა; არ დაეჩნდა იმის ქცევას არავითარი უკადრისობა, არ დაარღვია თავის ამხანაგებთან ერთობა, მხოლოდ ამ ერთობამ ახალი სახე მიიღო ეხლა, განსაზღვრული. სოფელში ყოფნის დროს ქალი ეხლა ასწავლიდა გოგოებს. ეხლა შუქურმა იმათზე გაცილებით მეტი იცოდა, და წინანდელი ამხანაგი ეხლა მასწავლებლად მოევლინათ. საქმის დღით თუ არ ეცალათ გოგოებს, კვირა-უქმეობით გარს ეხვეოდნენ შუქურს. წიგნისა და ხელთსაქმის გარდა ქალმა სუფთაობა ასწავლა მათ. თითონ შუქური სოფლადაც ისევ ისე მოხდენილად იცვამ-იხურავდა, როგორც ქალაქში, იქაც ისეთივე ფაქიზი იყო, უმტვერო და თავის სკოლასაც ბეჯითად სთხოვდა ამ სიფაქიზეს. მისი ამალა ეხლა აღარ დადიოდა ხელ-ფეხ ტუტყიანი, გაზებ ტალახიანი, კაბა-პერანგ გაფაშვილი, ჩაქ შახეული. დაკერება თუ დაბან-დარეცხას შეეჩვივნენ გოგოები. ეს ყველაფერი ძნელი არ იყო, მეტს ხარჯს არა თხოულობდა, მხოლოდ მეტი ყურადღებისა და შეგნების უნარი იყო და ადვილად მოსახერხებელი.

შუქურისთვის მეტად სასარგებლო შეიქმნა ხალხთან ერთობა; დაისწავლა ქართული, რომელიც განდევნილი იყო იმის ოჯახიდან და სასწავლებლიდან, შეიგნო მისი სიტკბოება. გაეცნო მდაბიო ხალხს და ნახა მისი გაჭირვება, სიბნელე, დაჩაგრულობა, ჭირ-ბოროტი, გაარჩია სანუგეშო მხარეებიც ხალხისა და დააფასა იგი ხალხი, პატივისცემა იგრძნო მისდამი. შემდეგში ხალხზე ფიქრი და მზრუნველობა ბუნებრივი შეიქმნა მისთვის და სასიამოვნო. საქებურად დაამთავრა შუქურმა სწავლა და წარსდგა პატარა ქალაქის ქართველ საზოგადოების წინაშე შემკობილი ყოველმხრივ, მიმზიდველი, სასიამოვნო.

**ვ. ბარნოვი.**

(შემდეგი იქნება).

ლი, დივანოვი დარჩო, სარქის ახვერდოვი და ალ. ალიხანოვი. მიზეზი ხორცის ნიხრზე მეტად გაყიდვაა. თუ ჯარიმას არ გადაიხდიან, ორ-ორი კვირით იქნებიან დაპატიმრებულნი. 100 მან. დაჯარიმებულ იქმნა ლაზარე კუზევი პოლიციის მოხელეს შეურაცხყოფისთვის. სხვა და სხვა სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის დაჯარიმებულ იქმნენ: 50 მან.—სევერიანე გოჩუა, 15 მან. ივანე სიხაშვილი.

◆ **მოსამართლენი სამართალში.** სენატის დადგენილებით, სამართალში მიუციათ განჯის ოლქის სასამართლოს წევრები პ. გ. მელიქ-ოგანჯანოვი და რ. რიკოვსკი და საპატიო მომრიგებელი მოსამართლე, ადგილობრივ სახელოსნო სასწავლ. უფროსი ს. ტუზოვი.

◆ **გასამართლება.** პარასკევს, 9 აპრილს, ქართულ თეატრში მოხდება გასამართლება „ლალატის“ ამირეჯებისა ზეინაბ დედოფლისა და სარდლის ოთარ ბეგისა. ბრალმდებლებად გამოვლენ ექიმი ვახტანგ ღამბაშიძე და ნაფ. ვექილი იოსებ მაჰავარიანი, ხოლო დამცველებად—გრიგოლ რობაქიძე და კიტა აბაშიძე. შემოსავალი გადაიდება წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ.

◆ **სკოლის შენობის დაწვა.** როგორც სენაკიდან გვატყობინებენ, რალაც გამოურკვეველ მიზეზით ცეცხლი გაჩენია და გადამწვარა წ.-კ. საზოგადოების სენაკის სკოლის ხის შენობა.

◆ **დრამატიული საზოგადოება.** როგორც გადმოგვცეს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების ძველ გამგეობას დაუმთავრებია სამი წლის მოქმედების ანგარიშების შედგენა. მთელი დეფიციტი საზოგადოებისა—7000 მანეთს აღემატება თურმე. ანგარიშების განხილვას მალე დაამთავრებს სარევიზიო კომისია და, დაბეჭდვის შემდეგ, მოხდება საზოგადო კრება. ახალი გამგეობა, როგორც მან არჩევის დროსაც განაცხადა, არ შესდგომია საქმის წარმოებას, ვიდრე ძველ გამგეობა ანგარიშებს არ გაასწორებს.

◆ **ჯავახიშვილის საქმე.** ამ ორი წლის წინად სოფელ ძევერაში ვიღაც ბოროტგანმზრახველებმა ამოხოცეს ჯავახიშვილის მთელი ოჯახი. ამ საქმის გამო პასუხის გებაში მისცეს რომანოზ და ტრიფონ ჯავახიშვილები. ჯავახიშვილების საქმე სამხედრო სასამართლომ განიხილა 1 აპრილს. სასამართლომ ტრიფონ ჯავახიშვილი გაამართლა, ხოლო რომანოზ ჯავახიშვილს, მცირე წლოვანს, მიუსაჯა 12 წლით დაპატიმრება.

◆ **ქალაქის თავის ჩამოსვლა.** გუშინ, 2 აპრილს, პეტერბურგიდან ტფილისში დაბრუნდა ტფ. ქალაქის თავი თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი. ქალაქის თავს სადგურზე მიეგებნენ ქალაქის თავის მოადგილე ა. ი. ხატისოვი, გამგეობის წევრნი, გამგეობის ზოგი მოხელე და ზოგი ხმოსანი. თავ. ჩერქეზიშვილი ორი-სამი დღის დასვენების შემდეგ შეუდგება თანამდებობის აღსრულებას.

◆ **სომხ. შინა-მრეწველობის საზოგადოება.** 1 აპრილს სას.-სამეურნეო საზოგადოების სადგომში მოხდა სხდომა სომხურ შინა-მრეწველობის საზოგადოებისა. კავ. შინა-მრეწველობის კომიტეტის მდივანმა არ. ფირალოვმა, რომელიც გაგზავნილი იყო პეტერბურგში იქ მომხდარ სრულიად რუსეთის შინა-მრეწველობის კრებაზე სომეხ. კულტურულ კავშირისა და სომხურ შინა-მრეწველობის საზოგადოების წარმომადგენელ ბ-ნ ფირალოვმა წაიკითხა მოხსენება იმის შესახებ, თუ რა საკითხები განიხილა პეტერბურგში მომხდარმა კრებამ. ფირალოვმა აცნობა კრებას ისიც, რომ სომხურ შინა მრეწველობის საზოგადოების სასარგებლოდ პეტერბურგის სომეხთა სა-

ზოგადოებამ გადასდო 2000 მანეთი.

◆ **ახალი წიგნები.** რედაქციამ მიიღო: 1. „სორაპნის“ მიერ გამოცემული განდეგილის ლექსები და მოთხრობები. წიგნს ჩართული აქვს განდეგილის სურათი. წიგნი ხელის მოწერით გამოიცა და ეხლა ღირს 50 კ. 2. ნ. ბარათაშვილის ლექსები და წერილები. ლექსებს მიუძღვის დ. კარიჭაშვილის მიერ დაწერილი ბიოგრაფია მგოსნისა, ილია ჭავჭავაძის კრიტიკული წერილი და ივ. გომართელის დახასიათება ბარათ—ლის პიროვნების და პოეზიისა. ეს მეშვიდე გამოცემაა ნ. ბარათაშვილის ლექსებისა. გამოცემა ეკუთვნის „ცოდნას“. ფასი 40 კ. 3. ლექსი (ზღაპარი ყმაწვილთათვის) აკაკისა, გამოცემა „ცოდნისა“. ფასი 10 კაპ.

◆ კვირას, 4 აპრილს, ავლაბრის აუდიტორიაში ქ-ნი ავალიანი წაიკითხავს; „თომას თავგადასავალს“; ქ-ნი კარბელაშვილი—„ქეჯს“. დასაწყისი 10 საათზე. სამკურნალო საზოგადოების დარბაზში ქ-ნი ყორღანოვა წაიკითხავს: „ჭიანჭველების ცხოვრებას“; დასაწყისი 11 საათზე. ავლაბრის აუდიტორიაში ქ-ნი ნასიძე წაიკითხავს: „პატარა ქალი გალია“; დასაწყისი 11 საათზე.

◆ ნამესტნიკის ბრძანებით, ადმინისტრატიულის წესით გადასახლებულ გურჯაანელს ნინია უტიაშვილს ნება მიეცა დაბრუნდეს. უფლება არ ექნება მხოლოდ ტფილისსა და ტფილისის მაზრაში ცხოვრებისა.

◆ მე-4 ნაწილში გუშინ 200 ჭურჭელი რძე და მაწონი მოსპო პოლიციამ სავაჭრო-სამეურნეო პოლიციისა და სასანიტარო კომისიის დადგენილებით.

◆ ცნობილმა რობერტ ლენცმა სახაზინო თეატრში უკვე ორი წარმოდგენა გამართა. მესამე და უკანასკნელი წარმოდგენა გაიმართება ხვალ, 4 აპრილს.

---

**შეცდომის გასწორება.** გრ. რობაქიძის წერილში („დროება“ № 73) შეცდომა შეპარულა, სწერია: ბ-ნი დადვაძე სწერს: ლექტორის აზრით, დეკადანსი გარყვნილებაა; უნდა იყოს: ბ-ნი დადვაძე სწერს: ლექტორის აზრით, დეკადანსი გახრწნილებაა.

## ქ უ თ ა ი ს ი

◆ **საბავშვო ბალი.** 27 მარტს ქუთაისში მარიამ კონსტანტინე იოსელიანის ასულმა თავის საბავშვო ბალში მოსწავლე ბავშვებს გაუმართა სალამო. ბავშვებს გარდა დაესწრნენ მშობლები და გარეშენი. ექვსი და შვიდის წლის ბავშვებმა წაიკითხეს ლექსები, პატარა წარმოდგენაც გამართეს, იმღერეს და ბოლოს სალამო დამთავრდა ცეკვა-თამაშით. საღამომ გასტანა 4 საათს. 10 საათზე ბავშვებმა მიიღეს საჩუქრად ტკბილეულობა და დაიშალნენ. დამსწრეთ მადლობა შესწირეს მასწავლებლებს საქმის რიგიანად დაყენებისათვის. ამ ბალში დადის სულ 39 ბავშვი; სწავლის ფული თვეში რვა მანეთია; ბალის გამგე ბავშვებს აძლევს ჩაის და საუზმეს. სულ ხუთი მასწავლებელია. თუ საზოგადოებამ თანაგრძნობა არ დაიშურა, ეს საბავშო ბალი დიდ სარგებლობას მოიტანს. წელიწად-ნახევარია, რაც ბალი არსებობს და ამ ხნის განმავლობაში შეიძინა მრავალი სურათი, სათამაშო და სხვა, რაც კი საჭიროა საბავშო ბაღისათვის. მადლობის ღირსია მარიამ ყაუხჩიშვილის ასული, რომელიც დახმარებას უწევს ბალს.

◆ **ექიმები ქალაქის სკოლებისთვის.** როგორც ვიცით, ქალაქებში თითქმის ყველა სასწავლებელს მიჩენილი ჰყავს თავისი ექიმი, რომელიც საჭიროების დროს დახმარებას უწევს როგორც მოსწავლეებს, ისე მასწავლებლებს და სხვა მსახურებს. ქუთაისის ქალაქის პირველდაწყებითი სკოლები ამას მოკლებულნი არიან, რადგან ქალაქის გამგეობას, სამწუხაროდ, არა ჰყავს მათთვის აჩენილი ექიმი და არც სკოლებს მოეძებნებათ რაიმე საშუალება ექიმის მოსაწვევად. მეტად საჭიროა, რომ ქალაქის გამგეობამ ერთი ექიმი მოიწვიოს თავის სკოლებისათვის. მანამდის კარგი იქნება, თუ ჩვენი ექიმები თითო ქალაქის სკოლას ჩაიბარებენ და კვირაში ერთხელ დაათვალიერებენ მოსწავლეებს უსასყიდლოდ. ასე იქცევიან ეხლა ექიმები გრიგოლ ქორქაშვილი და კონსტანტინე ტყეშელაშვილი: პირველი ძველით ავადმყოფ მოსწავლეებს უფასოდ ექიმობს და უკეთებს ოპერაციებს, მეორე უსასყიდლოდ მიდის ქალაქის მესამე სკოლაში სწამლობს როგორც მოსწავლეებს, ისე მასწავლებლებს. შეიძლება სხვა ექიმებმაც წაჰბაძონ ამათ მაგალითს და მიხედონ პირველ, მეორე და მეოთხე ქალაქის სკოლებს.

# მოწერილი ამბები

**ს. გიორგიწმინდა** (გარე კახეთი). მარტის 25-ს სოფ. გიორგიწმინდაში აქაურ სკოლის მასწავლებელმა რამინაშვილმა გამართა სალიტერატურო დილა. მონაწილეობას იღებდნენ ხსენებულ სკოლის მოწაფენი, რომელნიც კარგად იყვნენ მომზადებულნი, ბავშვებმა იმღერეს: „ნანა“, „მიყვარს ფშაცხა“ და სხვ., შემდეგ წაიკითხეს ლექსები.

სალიტერატურო დილას, გარდა გარეჯელ ინტელიგენტებისა, დაესწრო თითქმის მთელი გიორგიწმინდის საზოგადოება, ქალი და კაცი. სიხარულით შეჰყურებდნენ მშობლები თავიანთ პატარა შვილებს, როდესაც უკანასკნელნი მკაფიოდ და დაუბრკოლებლივ კითხულობდნენ ლექსებს.

შემდეგ მასწავლებელმა აუხსნა დამსწრეთ სწავლა-განათლების მნიშვნელობა და გააცნო ხალხს განსვენებულ მგოსნის ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია.

მასწავლებლის შემდეგ მოკლე სიტყვა წარმოსთქვა მღ. რცხილაძემ და ურჩია ხალხს (გიორგიწმინდელებს) მეორე სკოლის გახსნა, რადგან აქაური ერთ-კლასიანი სკოლა ვერ აკმაყოფილებს მცხოვრებთა მოთხოვნილებას.

როგორც ეტყობა, გიორგიწმინდელთა საკვირველად დახარჯულ სიტყვებს, უნაყოფოდ არ ჩაუვლია. თუმცა ამ ერთი წლის განმავლობაში საშინლად გაიძარცვა ხალხი ათასნაირ გადასახადებისაგან, გიორგიწმინდელები თავიანთის ხარჯით ინახავენ სკოლას და უმრავლესობა უარს არა ჰყოფს მეორე მასწავლებლის მოწვევასას. გიორგიწმინდაში მოიპოვებიან ისეთი შეგნებული გლეხები, რომელთაც თვალსაჩინო გავლენა აქვთ ხალხზე. საზოგადოების ყველა საქმეს ესენი უდგანან სათავეში და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ისარგებლებენ თავიანთის გავლენით და ხელს შეუწყობენ სწავლა-განათლების საქმეს.

სალიტერატურო დილის გათავების შემდეგ მადლობა გადაუხადეს მასწავლებელს და დაიშალნენ. **გარეჯელი**

# თეატრი და ხელოვნება

**საინტერესო კონცერტი.** დღეს, 3 აპრილს, ქართულ თეატრში ძალიან საინტერესო საღამოა, რომელსაც მართავს ი. კარგარეთელი. პირველად ნ. გაბუნია-ცაგარელის, თ. გოგოლაშვილის, ვ. აბაშიძის და მგალობლიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ვოდევილი „ბერის საღერღელი“. შემდეგ გაიმართება საკონცერტო განყოფილება, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ მომღერალნი ქ-ნნი კოლოტოვისა, პრესმანისა, ბ-ნნი ი. სარაჯიშვილი და ბროჯი და სკრიპკაზე დამკვრელი პატარა პალცევი. სხვათა შორის ბ-ნ არაყიშვილის ოპერიდან „შოთა რუსთაველიდან“ ი. სარაჯიშვილი, ორკესტრით, შეასრულებს მგოსნის არიას. თქმა არ უნდა, ამ კონცერტს დიდი საზოგადოება დაესწრება.

# ოსმალეთი

**იზეტ-ფაშის შეთქმულობა.**

ნესვლთნარის აბდულ-ჰამიდის გენერალ-ადიუტანტად ნამყოფი იზეტ-ფაშა, რომელიც რევოლიუციის დროს სტამბოლიდან გაიქცა აურაცხელ ქონებით, ამ ჟამად იმყოფება ქაიროში, ეგვიპტეში. მას იყიდა დიდი არაბული გაზეთი „ელმუაიიდი“, რომელიც ქაირში გამოდის და რომელსაც 20 ათასამდე ხელის მომწერი ჰყავს. იზეტ ფაშა ქადაგებს დამოუკიდებელ არაბეთის დაარსებას და მუსულმანთა ხალიფად არაბის ამორჩევას. იზეტ ფაშას მიემხრო ყველა მომხრე ძველის ოსმალეთისა. ჰფიქრობენ, რომ ეს აგიტაცია საქმეს გაუჭირვებს ოსმალეთის ახალ წეს-წყობილებასაო.

**კონფერენცია ბალკანეთის საქმეებზე.**

6 აპრილს (ახ. სტ.) დეპუტატი დინკოლნი ინგლისის პალატაში შეეკითხა გარეშე საქმეთა მინისტრს გრეის, რა მდგომარეობაშია ამ ჟამად იმ კონფერენციის საქმე, რომლის მოწვევაც უნდოდათ ბალკანეთის საქმეთა თაობაზე ბოსნია-ჰერცოგოვინას ანექსიის შემდეგაო. გრეის უმცროსმა თანაშემწემ მაკკინონმა პასუხად განაცხადა: ამ ჟამად სახელმწიფოთა ურთიერთობა იმნაირად შეიცვალა, რომ კონფერენცია საჭირო აღარ არისო.

# სპარსეთი

**მიწის-ძვრა და წყალ-დიდობა სპარსეთში.**

სპარსეთის ყველა კუთხიდან ცნობა მოდის, რომ მიწის-ძვრამა და წყალდიდობამ საშინელ უბედურებაში ჩააყენა ხალხი.

**სპარსეთის მთავრობის უარი.**

27 მარტს სპარსეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა რუსეთის და ინგლისის ელჩებს პასუხი ჩააბარა სესხის თაობაზე. პასუხში ოფიციალურადაა ნათქვამი, რომ სპარსეთის მთავრობამ განიხილა რუსეთის და ინგლისის სესხის პირობები, შეუწყნარებლად სცნა ექვსივე მუხლი ამ პირობისა და ამიტომ უარჰყო სესხის მთელი პირობა.

**პროტესტი რუსის ჯარის წინააღმდეგ.**

გერმანიამ, ავსტრიამ და იტალიამ პროტესტი განაცხადეს რუსის ჯარის სპარსეთში ყოფნის თაობაზე. ბეჯითად ირწმუნებიან, რომ ოსმალეთმაც მხარი დაუჭირა ამ პროტესტსაო.

ამბობენ, რუსეთის ელჩმა მოლაპარაკება გამართა თავის მთავრობასთან რუსის ჯარის სპარსეთიდან გაყვანის თაობაზეო.

როგორც ისმის, ყაზვინში რუსის რაზმის საინტენდანტოში ბოროტმოქმედება აღმოუჩენიათ.

**შაჰის სასახლეში.**

ამას წინად შაჰის სასახლიდან დაითხოვეს 18 მოსამსახურე, ეხლა გამოირკვა, რომ ესენი ჯაშუშობისთვის დაუთხოვნიათ: ეს მოსამსახურეები თურმე ყველაფერს დაწვრილებით ატყობინებდნენ ნაშაჰარის სიმამრს ქამრან-მირზას და, როგორც ისმის, აპირობდნენ ახალგაზრდა შაჰის მოტაცებას, რითაც ეწადათ ხალხის აღელვება.

**რუსეთის წარმომადგენელთა მოთხოვნა.**

როგორც ისმის, რუსეთის წარმომადგენელთ სპარსეთში მოითხოვეს, რომ სათარ-ხანი და ბაღირ-ხანი თეირანში არ შეუშვანო.

# შორეული აღმოსავლეთი

**იაპონელების დატუსაღება ჩიტაში.**

რუსულ გაზეთებს ატყობინებენ ხარბინიდან: „რუსის მოხელეებმა ქალ. ჩიტაში (ციმბირში) გაჩხრიკეს იაპონელების მაღაზია „ამომავალი მზე“ და დაატუსაღეს რამდენიმე იაპონელი—მოსამსახურე ამ მაღაზიისა. მოხელეებმა ეჭვი მიიტანეს, რომ ეს იაპონელები — სამხედრო მზვერავები არიანო. ჩხრეკამ დიდ ხანს გასტანა. იაპონელებს გამოართვეს წერილები, დეპეშების პირები. ეჭვი იმიტომ აიღეს, რომ ამ იაპონელებს დიდი მიწერ-მოწერა და დეპეშების გაგზავნა-გამოგზავნა ჰქონდათ გამართული იაპონიის კონსულთან ვლადივოსტოკში; კონსულს კიდე თავის მხრივ დიდი მიწერ-მოწერა ჰქონდა იაპონიის სამხედრო პირებთან, რომლებიც იმყოფებიან სამხრეთ მანჯურიის რკინის გზის (ეს გზა იაპონიას ეკუთვნის) ერთ-ერთ სადგურზე. მათი დეპეშების ჩხრეკამ შეგვიტყობინა, რომ სამხედრო საქმეს... დატუსაღებულ იაპონელებს მოგზაურობა დიდი ჰქონიათ ამურის მხრის ქალაქები და სოფლები.

**რუსეთ-ჩინეთის საზღვარზე.**

ჩინეთის სამხედრო მინისტრი ტელინი წავიდა მანჯურიაში რუსეთისა და კორეის საზღვრებზე მყოფ ჩინეთის ჯარისა და აშენებულ ციხე-სიმაგრეების დასათვალიერებლად.

**ჩინელების დასახლება მანჯურიაში.**

ჩინეთის მთავრობა ბეჯითად განაგრძობს სამხრეთ ჩინეთიდან ხალხის გადასახლებას მანჯურიაში. გირინის პროვინციაში გადმოსახლებულთათვის უკვე გამიჯნულა 4,869,166 დესეტინა სახნავი მიწა.

**ახალ რკინის გზის პროექტი.**

ჩინეთის მთავრობამ გადაწყვიტა მანჯურიაში ტელინ-ხაილარ ციციკარის რკინის გზა ააშენოს. ამ გზის გამოკვლევას უკვე შეუდგნენ.

# რუსეთი

◆ **უარის თქმა.** მკითხველს უკვე მოეხსენება, რომ პრემიერ-მინისტრის სტოლიპინის მოთხოვნით პეტერბურგის ელექტრო-ტეხნიკურ ინსტიტუტიდან სამი სტუდენტი დაითხოვეს. ბრალდებოდათ პროფესორის საწინააღმდეგო კრების გამართვა. ინსტიტუტის პროფესორთა საბჭომ სტოლიპინთან შუამდგომლობა აღძრა, ნება მოეცეთ დათხოვნილ სამი სტუდენტს უკან მიიღონ. სტოლიპინს არ შეუწყნარებია პროფესორთა ეს შუამდგომლობა. პროფესორებს დაუდგენიათ ხელმეორედ აღძრან შუამდგომლობა.

# წერილი რედ. მიმართ

დღეს, 3 აპრილს, ავლაბრის თეატრში ქართული წარმოდგენაა დანიშნული, რომლის აფიშებით უკვე მოფენილია ავლაბარი. აფიშებში ვკითხულობთ: „ავლაბრის ქართულ დრამატიულ ხელოვნების მოყვარეთა ამხანაგობის“ მიერ წარმოდგენილი იქნება „პატარა კახი“. ხსენებულ ამხანაგობის სცენის მოყვარენი ამ წარმოდგენაში არავითარ მონაწილეობას არ იღებენ, თუმცა აფიშაში ზოგიერთის გვარებიც არის მოხსენებული. ჩვენი ამხანაგობის გამგედ ითვლება თომა ნასიძე, ხოლო აფიშაზე ვინმე გორიტაშვილია მოხსენებული. რომ საზოგადოება შეცდომაში არ შევიდეს და რომ არ ეგონოს ისევე ის ძველი სცენის მოყვარენი, რომელნიც წარსულ შემოდგომაზე (ვიდრე ხარაზიანთან უთანხმოება მოგვივიდოდა) ვმართავდით წარმოდგენებს, ამისათვის ვაცხადებ რომ ზემოხსენებულ სხვა პირებისაგან შემდგარი სცენის მოყვარეთა დასია.

**ამხანაგობის გამგეობა.**

„დროების“ მე-71 ნომერში მოთავსებულია წერილი რედაქციის მიმართ ქ-ნ მარიამ მიხეილის ასულის კლდიაშვილისა, რომელიც შეცდომაში შეუყვანია გაზეთის ცნობას, ვითომ საჯარო ბიბლიოთეკა-სამკითხველო სოფელ აბაშაში გახსნა ოს ქ. შ. წ. კ. საზოგადოებას. ქ-ნ კლდიაშვილის და სხვათა საყურადღებოდ ვაცხადებ, რომ წერა-კითხვის საზოგადოების სახელობაზე სამკითხველო გაიხსნა დაბა აბაშაში (სადგურ აბაშასთან), რომლის მზრუნველობა აბარია არა ვისმე და კონსტანტინე თოფურიძეს,—არამედ ჯაბა ჩიქოვანს, ბაბილინე იოსელიანს, ვასილ ქობულიას და ირაკლი ჟვანიას. ქ-ნ კლდიაშვილის მიერ გახსნილი ორი წლის წინად სამკითხველო—კარგა ხანია გაუქმებულია რწმუნებულთა უთანხმოებისა გამო.

**დათიკო იოსელიანი.**


განცხადებები

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში. იღებს შინაგ., ქალ. შიშ. და სიფილ. ავადმყოფებს, დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ღარიბებს იღებს უფასოდ. (6.—7)

პირველი ქართ. სამკურნალო
**დოქტ. ნავასარდიანისა**
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირებს გარდა
**დ ი ლ ი თ:**
**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ქ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ი. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.
**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა:** 9½—1 ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.
**ს ა ღ ა მ ო თ ი:**
**ქალ. ექ. ჰ. ს. ზილბერმაცი:** 6—6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. მარიაშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

**ქუთაისში**
◀ **კიღმარაშვილის და ამხ.** ▶
**თესლეულობის მაღაზიაში** მიღებულია სხვა და სხვა თესლეულობა ახალ ბოსტნეულის, ყვავილების და ბალახების: იონჯის, სამყურის და კინდრისა. აქვე იყიდება საგანგებოდ დამზადებული ძმათა პასხალიდების თეთრი აბრეშუმის თესლი. მსურველთ კატალოგი უფასოდ ეგზავნება. (25—კვ.—20)

ტფილისის ქალაქის
**გამგეობა**
სთხოვს იმ პირთ, რომელთაც მე-10, 11 და 12 საპოლიციო ნაწილებში გადაიხადეს ქალაქის გადასახადი ამ კვიტანციებით №№ 28903, 28905 და 28916 (კვიტანციები გაცემულია ფულის მომკრეფის ფლოდოროვის მიერ), წარადგინონ ეს კვიტანციები ქალაქის გამგეობის ...ობაში საქმის დღეს მეოთხე განყოფ... 10-დან 2 საათამდე იღრულ. უთანხმოების გამოსარკვევად. (3—6.—1)

**იყიდება ორი ბილიარდი გოცისა**
ახლად გამოწერილი ყოველივე მოწყობილობით. მსურველს შეუძლიან შეიძინოს ბუფეტი, რომელიც მოთავსებულია მეტად კარგ ალაგას, სადაც ყოველთვის დიდძალი ხალხი ტრიალებს.
პირობების გაგება შეიძლება ნიკოლოზისა და ნეკრასოვის ქუჩების კუთხე, № 16 სასტუმრო „დიანა“-ში, იკითხონ სევერიანე. (2—222—1)

**გ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ა**

რადგან **სპერმინი-პელისა** დღითი-დღე ვრცელდება, ამიტომ ამ ბოლო დროს აღმოჩნდნენ ისეთნი, რომელნიც ჩვენი წამლის ნაცვლად სხვას ჰყიდიან სხვა და სხვა სახელით (სპერმიტინის, სპერმინოლის, სპერმოლის, და სხვა სახელით). ხშირად ამ ყალბ სპერმინის გამყიდველნი თითონ სწერენ, ჩვენი წამალი **სპერმინ-პელის** „თანასწორია ან იმაზე უკეთესიო“. ხშირად ამ ყალბ წამალს ამზადებენ ისეთნი, რომელთაც ექიმობასთან არაფერი საერთო არა აქვთ: სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიების პატრონნი და სხვანი. რა თქმა უნდა, ასეთ ყალბ წამლებს მნიშვნელობა არა აქვთ და წამლის გამვრცელებელნი რეკლამებში ჰბაძვენ **სპერმინ-პელს** და ხალხი შეცდომაში შეჰყავთ.

ამის გამო ჩვენ მოვალეობად ვრაცხთ, **გავაფრთხილოთ** ისინი, ვინც **სპერმინით** სარგებლობენ. მეცნიერთა და ექიმთა გამოკვლევით, **სპერმინ-პელი** სასარგებლო წამალია: ნევრასტენიის, სქესობრივ უძლურებისა, მოხუცობის უძლურების, ისტერიის, ნევრალგიის, სისხლ-ნაკლებობის, ჭლექის, სიფილისის, ვერცხლის წყლის წამლობით შედეგის, ქარების, გულის ავადმყოფობის (სიმსივნის, გულის სკლეროზის, გულის ფრიალის, კანკალის, მიოკარდიტის). არტერიოსკლეროზის, ალკოჰოლიზმის, ზურგის ტვინის დასუსტების, სიდამბლის, სისუსტის, დაქანცულობის და სხვა ავადმყოფობის დროს. ყველა მყიდველმა ყიდვის დროს ყურადღება უნდა მიაქციოს სახელს ● **სპერმინ-პელს** ● და ფორმას, რადგან სხვა პრეპარატები მხოლოდ ყალბია და მიმსგავსება **სპერმინ-პელისა. ფლაკონი** ღირს 3 მან. ლიტერატურა იგზავნება პირველ მოთხოვნილებისთანავე უფასოდ 290 Органотерапевтическій институтъ.

Профессоръ Докторъ ПЕЛЬ и СЫНОВЬЯ.
Поставщики Двора Его Императорскаго Величества.—С.-Петербургъ.
(Метцль и К-о. № 177994). (8—6.—7)